ინტერვიუ
INTERVIEW
#2
ივნისი/
ივლისი
2014
ანუკი არეშიძე
გზა ანუკიდან
ANOUKI-მდე
ინტიმური
გეოგრაფია
ქალისა და მამაკაცის
ეროგენული ზონები
ჰახა ჰანდელაკი
ჯაზი ჩემთვის
ჰაერივითაა
ნუცა შამილაძე და
თეონა ელიზბარაშვილი
BARCELONA
ბედნიერების
ფორმულა
PASTA
ITALIANA
ნუკა & ჰენი
ეს ის არის ვისზეც
ყოველთვის ვოცნებობდი
ISSN 2346-7703
9 772346 77000 8
ფასი
5
ლარი

FREYWILLE.COM | ვენა

თბილისი რუსთაველის გამზ. 26
TBILISI 26 Rustaveli Avenue
+995 32 299 0957

18კტ. ოქრო ბრილიანტებით

ალფონს მუხას მიმართ მიძღვნილი კოლექცია

FREYWILLE
ფრაივილე

ჯეუმარიტი ხელოვნება

CONTENT



ფსიქოლოგია

50 ინტიმური გეოგრაფია

კულტურა

56 „ჯაგი ჩემთვის ჰაერივით არის“
ინტერვიუ კახა კანდელაკთან

60 ჯაგის ოთხი დღე ბათუმში

EVENTS

94 ღამე გალერეაში

ᲒᲒ. 50

ᲒᲒ. 94

ᲒᲒ. 16

ᲒᲒ. 74

33. 56

33. 32

ყდაზე:
ნუკი
კოშკელიშვილი
და ბენ ხაიმი

ფოტოგრაფი:
SASHÀ PRISHVIN

მოდა

20 FOLLOW YOUR PASSION

2014 წლის
გაგაფხული/გაფხულის
მოდის ტენდენციები

28 ფოჩები

29 SHOES for S/S

30 STREET STYLE

32 TBILISI FASHION WEEK

38 გზა ანუკიდან ANOUKI-მდე

38

Balenciaga hat, Milan (Photographed by Phil Oh)



სილამაზე & ჯანმრთელობა

48 შენ ალამაზებ სამყაროს

ქორწილი

44 თავისუფლების გაცილება

ბ. 62

ბ. 44

მთავარი თემა

ნუკი ჯოშკელიშვილი და ბენ ხაიმი 10

„რაც დრო გადის, მით უფრო არ მჯერა, რომ ეს ის არის, ვისზეც ყოველთვის ვოცნებობდი.“

ჩემი სამყარო

ნინი ზარქუა 16

„ყოველთვის მინდოდა, რომ ჩემი საქმე ბავშვებთან დამეკავშირებინა.“

მოდა

ანუკი არეშიძე 38

„რისკი მიყვარს, მაგრამ არა გადამეტება. უპირატესობას ვანიჭებ ზომიერებას.“

ბ. 90

ბ. 60

განათლება

64 „იქ ვარ, სადაც სწორი საქმე სწორი გუნდის მეშვეობით კეთდება“...
ინტერვიუ საქართველოს ბანკის უნივერსიტეტის რექტორ აკაკი ხელაძესთან

მოგზაურობა

74 BARCELONA
გიგა რუხაძე ბარსელონადან

კულინარია

84 იტალიური სამზარეულო

90 კულინარიული დუეტი
ნუცა შამილაძე და თეონა ელიზბარაშვილი

62 ## ლიტერატურა

96 ## სამიზნე

გვ. 48

გვ. 29

 გვ. 84

28



1. ბოლიდი
2. დეზები
3. უნაგირი
4. უზანგი

all HERMÈS

გამომცემელი/PUBLISHER
თანადამფუძნებელი/CO-FOUNDER
ანუკი ნაცვლიშვილი/Anuki Natsvlishvili

არტ დირექტორი/ART DIRECTOR
თანადამფუძნებელი/CO-FOUNDER
სერგო კულიჯანოვი/Sergo Kulijanov

მთავარი რედაქტორები/EDITORS IN CHIEF
თათული ფაღავა/Tatuli Pagava
ლიკა მენაღარიშვილი/Lika Menagarishvili

აღმასრულებელი რედაქტორი/EXECUTIVE EDITOR
ნიკა გომართელი/Nika Gomarteli

კრეატიული დირექტორი/CREATIVE DIRECTOR
საშა პრიშვინი/Sasha Prishvin

მოდის რედაქტორი/FASHION EDITOR
ანანო დოლაბერიძე/Anano Dolaberidze

ლიტერატურული რედაქტორი/LITERARY EDITOR
ნატუკა ნაცვლიშვილი/Natuka Natsvlishvili

ჟურნალისტები/JOURNALISTS
ნინო ლომიძე/Nino Lomidze
დავით ფარულავა/David Parulava
სოფიო დვალიშვილი/Sophio Dvalishvili
ლევან ბუაძე/Levan Buadze
მარიამ არჩვაძე/Mariam Archvadze

დიზაინი/DESIGN
დავით სამსონიძე/David Samsonidze
სერგო ტიტენკოვი/Sergo Titenkov

ფოტოგრაფი/PHOTOGRAPHER
ზურა ქართველიშვილი/Zura Kartvelishvili

კორექტორი/CORRECTOR
ნატუკა ნაცვლიშვილი/Natuka Natsvlishvili

აღმასრულებელი დირექტორი/CHIEF EXECUTIVE OFFICER – ქეთი ნაცვლიშვილი/Kathy Natsvlishvili
ოპერაციების აღმასრულებელი დირექტორი/CHIEF OPERATIONS OFFICER – ნინიკო ელიზბარაშვილი/Niniko Elizbarashvili
გაყიდვების სამსახურის უფროსი/HEAD OF SALES DEPARTMENT – ლიკა მენაღარიშვილი/Lika Menagarishvili
გაყიდვების მენეჯერი/SALES MANAGER – ეკო ცეცხლაძე/Eko Tsetskhladze
საგზგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი/PR MANAGER – სოფიო დვალიშვილი/Sophio Dvalishvili
კლიენტსერვისის უფროსი/HEAD OF CLIENT SERVICE – გვანცა სალთხუციშვილი/Gvantsa Saltkhutsishvili
დისტრიბუტორი/DISTRIBUTOR – დავით კუპრაძე/David Kupradze
ბუღალტერი/ACCOUNTANT – მარინა ალექსაური/Marina Aleksauri

Flit Media publishing house

რედაქცია: საქართველო, თბილისი, 0102, დ. უზნაძის ქ., 11; ტელ.: +995 322 946446; მარკეტინგის სამსახური: interview@flit.ge
გამოცემის თარიღი: 07.07.2014; გამომცემლობა „ფლიტ მედია“, საქართველო, თბილისი, 0102, დ. უზნაძის ქ. 11; ელ.ფოსტა: flitmail@flit.ge
პერიოდული გამოცემა: გამოდის 2014 წლის აპრილის თვიდან.

EDITORIAL OFFICE: 11, D. Uznadze str., 0102, Tbilisi, Georgia; TEL.: +995 322 946446; FAX: +995 322 922898; MARKETING DEPARTMENT: interview@flit.ge

---

გამოცემაში გამოყენებულია ბესარიონ გუგუშვილის BPG DejaVu Sans Light, DejaVu fonts team-ს DejaVu Sans და FLIT Group-ს Flt interview 1 ფონტები

© შპს „ფლიტ მედია“, 2014
© Flit Media LLC, 2014

სითი ფარმა
CITY PHARMA
-22%
ყოველდღე
ფასდაკლება მედიკამენტებზე
წერეთლის 11
საბურთალოს 32
ალოსტავას 75



ᲒᲐᲒ. 74

ᲔᲒᲔᲔ

დადგა ყველასთვის საოცნებო ზაფხული, რომელსაც ასე მოუთმენლად ველოდით...

ივნისის თვიდან ჩვენი ცხოვრება აღარ არის ისეთი ერთფეროვანი, როგორიც აქამდე იყო; ამ დროს ხომ ყველას ღიმილი დასთამაშებს სახეზე, ადამიანები ფერადი ლამაზი და მოდური ტანსაცმლით არიან შემოსილნი და კანსაც განსაკუთრებული ფერი დაჰკრავს.

84

ᲒᲐᲒ. 32

ბ. 30

ბ. 48

16

გართობისა და დასვენების პერიოდი იწყება! ივნისი-ივლისის ნომერში შევეცადეთ, საზაფხულო განოწყობა შეგვექმნა თქვენთვის...

ამ ნომერში გაეცნობით გაზაფხული/ზაფხულის ქართული და უცხოური მოდის სიახლეებს, გაიგებთ, რა ფერებია აქტუალური მაკიაჟის გასაკეთებლად ამ სეზონზე, დააგემოვნებთ იტალიურ სამზარეულოს და დაუვიწყარ მოგზაურობაში გაემგზავრებით ჩვენთან ერთად – ბარსელონაში.

თათული ფაღავა
ლიკა მენაღარიშვილი

6330

Nuki KOSHKELISHVILI and Benji CHAIM

6360

INTERVIEW. **რა იყო პირველი, რაც გაიფიქრეთ ერთმანეთის გაცნობისას? როგორი იყო პირველი შთაბეჭდილება, ემოცია, გრძნობა...**

NUKI KOSHKELISHVILI. პირველად რომ დავინახე, არ მჯეროდა, რომ როგორც იქნა შევხვდით. რაც დრო გადის, მით უფრო არ მჯერა, რომ ეს ის არის, ვისზეც ყოველთვის ვოცნებობდი.

BENJI CHAIM. როდესაც ერთმანეთს პირადად შევხვდით, ბევრი პირველი ფიქრი გვქონდა. ბედნიერების მომენტი იყო, რომელსაც თან ერთვოდა დაძაბულობა, იმედი, რომ ყველაფერი ისე გამოვიდოდა, როგორც წარმოგვედგინა.

I. **როგორ აღუწერდით ერთმანეთს?**

N. K. ძალიან პოზიტიური, სწორი, ჭკვიანი და ნიჭიერია. ბენთან ვერასდროს მოიწყენ.

B. C. ნუკი შემიძლია აღვწერო, როგორც ყველაზე მზრუნველი და გულწრფელი ადამიანი, რომელსაც ოდესმე შევხვედრივარ.

I. **ერთმანეთს თუ აძლევთ ხოლმე რჩევებს და თუ ითვალისწინებთ?**

N. K. კი, რა თქმა უნდა. ჩემთვის მისი რჩევა ყოველთვის ძალიან საინტერესოა. ყოველთვის ძალიან ზუსტი და დროული რჩევები აქვს. ზოგჯერ ზედმეტად მართალია. არააპელირებულად და ცოტა ვბრაზდები, მაგრამ უფრო მიყვარს.

B. C. რჩევების მიცემაზე ხშირად უბრალოდ ვისმენთ ერთმანეთის აზრს.

I. **ერთმანეთის ხასიათის დადებითი და უარყოფითი თვისებები...**

N. K. მე ყოველთვის მართალი ვარ, მე ყოველთვის მართალი ვარ.

B. C. ის ყოველთვის მართალია... და ის ყოველთვის მართალია.

I. **რაზე ვერ თანხმდებით ხოლმე?**

N. K. ალბათ, ცხოვრების სტილი და რითმი საგრძნობლად განსხვავდება. ის ბევრად უფრო ჯანსაღად ცხოვრობს და ცდილობს, მეც გადამიბიროს ნათელ მხარეზე.

B. C. რომელ საათზე უნდა ვიღვიძებდეთ დილით.

I. **როგორია ლამაზი, სექსუალური ქალი/მამაკაცი თქვენი წარმოდგენით? რამდენად აკმაყოფილებს ამ კრიტერიუმს თქვენი რჩეული?**

N. K. ჩემთვის მომხიბვლელი არის ინტელექტი, ნიჭი და ქარიზმა, ამის შერწყმა სწორედ ის პასუხია, რაც თქვენ გაინტერესებთ.

B. C. ვფიქრობ, სილამაზე იცვლება თითოეულ ადამიანთან ერთად და მას სიტყვებით ადვილად ვერ აღწერ. ალბათ, უბრალოდ მიხვდები, როდესაც დაინახავ. ყველა თავისებურად ხედავს მას და დიახ, მე სილამაზეს ნუკიში ვხედავ.

I. **როგორ განმარტავთ ღალატს?**

B. C. კლასში ჭკვიანი ბავშვის გვერდით ჯდომა და პასუხების გადაწერა. >

Nuki Koshkelishvili

დაიბადა 1990 წლის 9 ივნისს. ნუკის კარიერა „მის საქართველოდან" დაიწყო. მერე იმედის „დილის" ეთერში მოხვდა, სერიალ „კლინიკაში" გადაიღეს... პოპულარობა ხიბლავს და ძალიან უყვარს საქმე რომელსაც ახლა აკეთებს.

რაც დრო გადის, მით უფრო არ მჯერა,

რომ ეს ის არის, **ვისზეც** ყოველთვის

ვოცნებობდი

N. K. როგორ მომეწონა ბენის პასუხი, დავეთანხმო? დავეთანხმები.

I. საერთოდ, სექსზე ღიად საუბარი მისაღებია თქვენთვის?

N. K. ეს ნამდვილად საიდუმლოა, რადგან თუ ამას მილიონი თქვენი მკითხველი წაიკითხავს, პირადული აღარ იქნება.

B. C. ვფიქრობ, უმჯობესია რაღაცები თავისთვის შეინახონ ადამიანებმა.

I. გჯერათ თუ არა საუკუნო წმინდა სიყვარულის?

N. K. უფრო მეტიც, მემგონი ჩვენი სიყვარულის ისტორია იმდენად ზღაპრულია, რომ – კი, პირადად მე მჯერა.

B. C. არ ვარ დარწმუნებული, რომ მესმის „საუკუნო, წმინდა სიყვარულის" არსი. საკმაოდ პოეტურად ჟღერს და ალბათ, მჯერა?

I. რა აღსანიშნით აღნიშნავთ თქვენს ურთიერთობას – თქვენ ხართ მეგობრები, შეყვარებულები, საყვარლები, წყვილი...

N. K. ყველაფერი ერთად. ეს არის ჯანსაღი ურთიერთობა, შემთხვევა, როცა ორი ადამიანი ავსებს ერთმანეთს, მეგობრობს ერთმანეთთან და უყვარს ერთმანეთი ერთდროულად.

B. C. ამ ტერმინთა უმეტესობა ჩემთვის ერთსა და იმავეს ნიშნავს. ერთ დღეს წყვილი ვართ, მეორე დღეს, ის ჩემი შეყვარებულია და, რა თქმა უნდა, ყოველდღიურად – ის ჩემი მეგობარია.

I. აღიარებთ თუ არა საკუთარ შეცდომას ადვილად? ბოდიში თუ მოგიხდიათ ერთმანეთისთვის?

N. K. კი, ყოველთვის ვაღიარებ შეცდომებს და ვცდილობ მათ გამოწორებას, მაგრამ მირჩევნია ნაკლებად ჩავიდინო, რომ საღიარებელი არ გამიხდეს.

B. C. ყველა უშვებს შეცდომებს. ცხადია, ყველაზე რთული, ამ შეცდომის გააზრებაა. თუმცა დიახ, როგორც კი ვიაზრებ, რომ შეცდომა დავუშვი, ვაღიარებ, ვცდილობ, ამ შეცდომით ვისწავლო და განვაგრძო ცხოვრება.

I. რას იტყვით ეჭვიანობაზე – გიგრძვნიათ თუ არა... როგორ იქცევით ასეთ დროს?

N. K. კი, არასდროს მეგონა რომ ეჭვიანი ვიყავი, თუმცა ახლა ვარ. ეს ალბათ შიშია, მიუხედავად იმისა, რომ ასი პროცენტით ვენდობი ბენს, იმდენად ვუფრთხილდები, რომ ზოგჯერ ვეჭვიანობ საკუთარ თავზეც კი.

B. C. ვფიქრობ, ეჭვიანობა ადვილად ჩნდება მაშინ, როდესაც სიტუაცია ბოლომდე არ გესმის. ნუკის და მე ძალიან კარგად გვესმის ერთმანეთის და ამიტომ არ არსებობს საჭიროება, ერთმანეთს თავი ასე ვაგრძნობინოთ.

I. რომელ კითხვაზე გაგიჭირდათ პასუხის გაცემა ყველაზე მეტად? რატომ?

N. K. ალბათ ის შეკითხვები, სადაც ბენს აბსოლიტურად ვეთანხმები, მქონდა მცდელობა ჩემი პასუხი გამეცა, მაგრამ იმდენად ვეთანხმები მას, რომ ეს რთული აღმოჩნდა.

B. C. ყველაზე ძნელი ნუკის უცხო ადამიანისთვის აღწერა იყო. იმდენი რამ მიყვარს მასში, რომ ყველაფრის ჩამოთვლა ზედმეტად ბევრ ფურცელს დაიკავებდა. ■

ნინო ლომიძე

ნინო ზარქუა

NINI ZARQUA

პროფესიით დიპლომატია და მოდელობის საკმაოდ დიდი გამოცდილებაც აქვს, თუმცა, ამჟამად საკუთარი ბიზნესით არის დაკავებული და სასიამოვნო საქმეს აკეთებს. ბავშვებთან ერთად დროის გატარება გამორჩეულად უყვარს. ამბობს, რომ მისი სამყარო ფერადი და ხალისიანია, რომანტიკოსად კი მხოლოდ მაშინ გადაიქცევა ხოლმე, როდესაც მეუღლის გვერდითაა. რუბრიკის სტუმარია მოდელი ნინი ზარქუა.

საათი
ROLEX

სამაჯურები
CARTIER

INTERVIEW. ნინი, მოკლედ როგორ დაახასიათებდით საკუთარ თავს?
NINI ZARQUA. ცვალებადი ხასიათი მაქვს და შეიძლება ამინდმაც განაპირობოს ჩემი ხასიათის ცვალებადობა. იმპულსურიც ვარ, მაგრამ ყოველთვის ვცდილობ, ვიყო პოზიტიურ განწყობაზე, რაც ხშირად გამომდის.

I. პრაგმატულ ადამიანად თვლით თავს თუ რომანტიკოსად?
N. Z. განწყობას გააჩნია და იმას, თუ რა მჭირდება კონკრეტულ მომენტში. რომანტიკოსი ნაკლებად მეთქმის, თუმცა როცა მეუღლესთან ერთად ვარ მაშინ გარდავისახები ხოლმე. დიდი მნიშვნელობა აქვს ადგილსაც. ჩემი მეუღლე ბევრს დაფრინავს და თბილისში ცოტა ხნით არის ხოლმე, ამიტომ როდესაც ჩემს გვერდითაა, რადიკალურად განსხვავებული ვხდები. ამ დროს ვარ ხოლმე ბედნიერი, მხიარული, ფერადი და რომატიკოსი. როცა ის აქ არ არის, გადართული ვარ ჩემს საქმეზე, საკუთარ ბიზნესზე და სწორედ მაშინ ვხდები პრაგმატული.

კაბა
ANOUKI

I. თქვენი ინტერესის სფეროები...
N. Z. ჩემი ინტერესის სფეროა ის საქმე, რასაც ამჟამად ვაკეთებ და რომელსაც ძალიან დიდ დროს ვუთმობ. ყოველთვის მინდოდა, რომ ჩემი საქმე ბავშვებთან ყოფილიყო დაკავშირებული, ამიტომ გავხსენი საბავშვო გასართობი ცენტრი – „ჰეფილონი". ამას გარდა, ჩემი ინტერესების ნაწილია ხელოვნება. ძალიან მიყვარს მხატვრობა, ნახატები მამშვიდებს, მსიამოვნებს მათი ყურება. კულინარიაც მაინტერესებს და გურმანიც ვარ. იტალიური სამზარეულო ჩემთვის გამორჩეულია. ვაკეთებ ყველანაირ პასტას და გამოგიტყდებით, საკმაოდ გემრიელი გამომდის. >

სათვალე
A-MORIR

ჩანთა
CHANEL

ჩანთა
CHANEL

SABA

ANANO

სამაჯურები
HERMÈS

სამაჯური
CARTIER

I. რამდენად ხშირად უთმობთ დროს საკუთარ თავს?

N. Z. ვიტყოდი, რომ ზომიერად. სალონის ხშირი სტუმარი ვარ, სპა მასაჟიც ძალიან მიყვარს, თუმცა კანის პროცედურები და ესთეტიკურ ცენტრებში ხშირი სიარული, ასაკიდან გამომდინარე, ჯერ არ მჭირდება.

I. როგორია თქვენი სტილი?

N. Z. ჩემი სტილი არ არის ერთფეროვანი, გააჩნია სიტუაციას და კონკრეტული დღის გეგმებს. შეიძლება იყოს მკაცრი, კლასიკური და ყოველდღიურიც. ასე რომ, ყველანაირი სტილის სამოსი მოიძებნება ჩემს გარდერობში.

I. მნიშვნელოვანია თუ არა თქვენთვის, რომ მოდურად გეცვათ?

N. Z. შეიძლება რაც მოდურია, ის ვიყიდო, მაგრამ ვერ გამოვიყენო. ყოველთვის ვცდილობ, მოდის ტენდენციები გავითვალისწინო. მოდური შეიძლება იყოს TOPSHOP-ის რაიმე ზედა სამოსი, რომელიც შეიძლება ჯინსებს ლამაზად შეუხამო და სულ არ არის აუცილებელი, რომელიმე ტოპ ბრენდის ტანსაცმელი იყოს.

I. თუ გყავთ გამორჩეული დიზაინერი?

N. Z. ზოგადად, ძალიან ბევრი მომწონს. გააჩნია ვინ რას გვთავაზობს სეზონზე. ისე, რა თქმა უნდა, მყავს ჩემი ფავორიტები, მაგალითად, ისეთები როგორებიცაა: Ballmain, Alaia, Prada. ასევე, გამორჩეულად მომწონს და ხშირად ვსტუმრობ ANOUKI-ს მოდის სახლს.

ფეხსაცმელი
BALECIAGA

შლიაპა
MAISON MICHEL

ფეხსაცმელი
CHRISTIAN LOUBOUTIN

ფეხსაცმელი
GIUSEPPE ZANOTTI

კაბა
ALAÏA

ფუნჯი
CHANEL
ტუჩის კონტური
MAC
სახის რუჟი
MAC

საყურე
OSCAR DE LA RENTA

ჩანთა
FENDI PEKABO

ბეჭედი
OSCAR DE LA RENTA

პიჯაკი
BALMAIN

I. **რამდენად ხშირად აახლებთ გარდერობს?**
N. Z. ხშირად მიწევს მოგზაურობა და ყოველ წასვლაზე ვცდილობ, განვაახლო ჩემი გარდერობი.

I. **რამდენად ახერხებთ ჯანსაღად კვებას და რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის ჯანსაღი ცხოვრების წესი?**
N. Z. ძალიან მნიშვნელოვანი და, ამავდროულად, ძალიან რთულია ჯანსაღი ცხოვრების წესით ცხოვრება. ბევრი ფაქტორია, რომელიც არ გაძლევს ამის საშუალებას, თუნდაც დროის არქონის პრობლემა, რადგანაც ჯანსაღად კვება ყოველ 2-3 საათში ერთხელ ჭამას ითვალისწინებს. ბევრი ნიუანსია, რომელსაც ვერ ვიცავ, მაგრამ მთლიანობაში ვცდილობ, რომ ჯანსაღი ცხოვრებით ვიცხოვრო.

გვანცა ნემსაძე

ქურთუკი
CÉLINE

Follo

photo
SASHÀ PRISHVIN

mua
TEKO SHENKEN

styling
ANANO DOLABERIDZE

hair
ELEVEN studio

model
YARA UKRAINA
(GEOModels)

accessories
FREYWILLE

საყურე
Mini-Creole

ბეჭედი
Waterdrop

კულონი
Waterdrop

ძეწავი
Snake

your

სამაჯური
Diva

სამაჯური
Contessa

სამაჯური
Ultra

ძეწკვი
Anchor

კულონი
Heart

კულონი
Luna Piena

სამაჯური
Miss

სამაჯური
Ultra

სამაჯური
Diva

სამაჯური
Regina

სამაჯური
Ballerina

ბეჭედი
Diva

assion

კულონი
Cascade

ძეწვი
Snake

სამაჯური
Ultra

სამაჯური
Contessa

ბეჯედი
Miss

სამაჯური
Miss

სამაჯური
Royal

სამაჯური
Ultra

ბეჭედი
Diva

ბეჭედი
Miss

ხაყურე
Waterdrop

კულონი
Halfmoon

ძეწავი
Mrs

ფოჩები

ფოჩები *FRINGES* გაზაფხული/ზაფხული 2014 წლის ჰიტია. დიზაინერებმა საკმაოდ ბევრ სტილს მოარგეს მსგავსი დეტალები და გვთავაზობენ როგორც სადა, ასევე ჭრელ ქსოვილებს.

All Spring/Summer 2014: **1**. ***Derek Lam***; **2**. ***Dolce & Gabbana***; **3**. ***Hervé Léger by Max Azria***; **4**. ***Rodarte***; **5**. ***Emilio Pucci;*** **6**. ***Calvin Klein***; **7**. ***Altuzarra***; **8**. ***Proenza Schouler***; **9**. ***Tibi***; **10**. ***Missoni;*** **11**. ***Erdem.***

Pierre Hardy

Gianvito Rossi

Lanvin

Linda Farrow

Shoes *for S/S*

Alexander Wang

Pierre Hardy

Reed Krakoff

თუ გიყვართ ფერადი და ორიგინალური დიზაინის ფეხსაცმელი, მაშინ ეს სეზონი სწორედ თქვენთვის არის. *გაგაფხული/ გაფხული 2014* წლის კოლექციებს თუ გადავავლებთ თვალს, მივხვდებით რომ ყველა დიზაინერს განსხვავებული სტილის ფეხსაცმელი აქვს. აქცენტს აკეთებენ როგორც სანდლების ტიპის, ასევე მაღალქუსლიანი კლასიკური სტილის ფეხსაცმელზე.



Tibi

MGSM

Street style

ქუჩის მოდა ყველაზე აქტუალური მოდის კვირეულების დროს არის. *TBILISI FASHION WEEK*-ზე მოსული ადამიანები ტანსაცმლის შერჩევისას ყოველთვის ფიქრობენ და ცდილობენ, განსხვავებულად გამოიყურებოდნენ, რომ ქუჩის მოდის ფოტოგრაფებმა შეამჩნიონ, შემდეგ კი სხვადასხვა ჟურნალებსა თუ საიტებზე მოხვდნენ.

ფოტო: ლუიზა ჩალათაშვილი

Tbilisi fashion week

TBILISI FASHION WEEK



ფოტო: Gregory Regini

თბილისის რიგით მე-9 მოდის კვირეული 6-10 მაისის ჩათვლით ვარდების ბაღში გაიმართა. 1 წლიანი პაუზის შემდეგ, საკმაოდ დიდი წარმატებით ჩაიარა მოდის კვირეულმა. 20-მდე დიზაინერმა 2014/15 წლის შემოდგომა/ზამთრის კოლექციები წარმოადგინეს. როგორც ყოველთვის, თბილისის მოდის კვირეული ხელს უწყობს ახალგაზრდა დიზაინერების პოპულარიზაციას, შესაბამისად 3 ახალი სახელი დამკვიდრდა ქართულ მოდის სივრცეში – მარიამ მახარაძის, მარიამ გვასალიასა და დიანა ქვარიანის სახით. სასიხარულოა, როდესაც ამდენი ნიჭიერი დიზაინერი ყავს ქვეყანას და რაც მთავარია, მათი სია სეზონიდან სეზონამდე იზრდება.

ATELIER KIKALA
Pure Minimalism

კვირეული ATELIER KIKALA-ს ჩვენებამ გახსნა. კოლექციის კონცეფცია იყო კოსმოსი, რომელიც მკაცრი, მაგრამ მინიმალიზმზე ორიენტირებული სამოსით იყო წარმოდგენილი. დიზაინერმა 2014/15 წლის შემოდგომა/ზამთრის კოლექციაში აქცენტი შავ, ღია ვარდისფერ, თეთრსა და ოქროსფერზე გააკეთა. კრეატიულმა დირექტორმა ლადო ბოკუჩავამ 3 სეზონის განმავლობაში ბრენდს კონკრეტული სტილი და მიმართულება მისცა, თუმცა ყოველთვის ცდილობს ექსპერიმენტების სახით საინტერესო სიახლე შესთავაზოს მომხმარებელს, რაც, უპირველეს ყოვლისა, Handmade ტანსაცმლითა და აქსესუარებით გამოიხატება.

GOLA DAMIAN
for DALOOD GROUP
Crazy World

Atelier Kikala-ს შემდეგ გოლა დამიანის ფერადი, ჰაეროვანი, მხიარული და შეიძლება ითქვას, ცოტა გიჟური ჩვენება იყო. ფერების ლამაზი შეხამება; მხიარული პრინტი; გამჭირვალე, ბრჭყვიალა ნაჭრები – ეს ყველაფერი ერთად მოდური და ამავე დროს კომერციულიცაა. ქვედაბოლოები, ისევე როგორც Atelier Kikala-ს კოლექციაში, ყველა მუხლს ქვემოთ არის და cropped ზედებიც ამ კოლექციის მიხედვით შეგვიძლია ტრენდად ჩავთვალოთ. რაც შეეხება პრინტს – აქ თამამად შეიძლება შეგხვდეთ მფრინავი თეფში, კოსმოსური ხომალდი ან უცხოპლანეტელი. ეს კოლექცია ნამდვილად თავისუფლების მოყვარული და მოდური ქალბატონებისთვისაა!

TEYO
Less is more!

TEYO-ს ქალი როგორც ყოველთვის გამორჩეული და არაპროგნოზირებადია. დიზაინერმა არაჩვეულებრივად შეუხამა უხეში და ნაზი ქსოვილები ერთმანეთს. გამოყენებული ქონდა ორგანზა, მბზინავი ქსოვილები და ასევე სეზონის ტრენდი – ნაქსოვები. მინიმალისტური კოლექცია, მინიმალური დეტალებითა და მაქსიმალური ექსპერიმენტებით.

AVTANDIL
Where is my Soldier

ავთანდილი – დიზაინერი რომელსაც უყვარს ქალი, როგორც ლამაზი ქმნილება. აქცენტს ყოველთვის დეტალებზე აკეთებს, რაც ამ შემთხვევაში ბუმბულებით, პრინტებითა და ტყავის ქამრებით გამოიხატებოდა. საინტერესოდ შეუხამა მასკულანური და ფემინური სილუეტები ერთმანეთს. როგორც წინა კოლექციებში, დიზაინერმა ამ სეზონზეც გამოიყენა მხატვარ ოლეგ ტიმჩენკოს პრინტები, რომელიც ამ შემთხვევაში ჯარისკაცის თემაზე იყო შექმნილი. სამოსთან ერთად, ავთანდილი ყოველთვის აკეთებს აქცენტს მუსიკასა და ლოკაციაზე, რაც საჭირო ემოციურ ფონს ქმნის კოლექციის სწორად წარმოსაჩენად.

ELOSHI
Graphic Lover

ექსპერიმენტების მოყვარული ქალი – ამ სიტყვებით შეიძლება დახასიათდეს ლელა ელოშვილის კოლექცია, რომელიც სავსე იყო გრაფიკული ელემენტებით. მიუხედავად ამისა, კოლექციას მთავარ ხაზად მაინც ფერადი, სიმეტრიული პრინტები გასდევდა. ერთი შეხედვით კოლექცია პასტელურ ფერებშია გადაწყვეტილი, თუმცა ნაცრისფერი და შავი დეტალები თითქმის ყველა ლუქშია გამოყენებული. ტყავის ელემენტები და cropped ზედები ისევე, როგორც სხვა კოლექციებში, აქაც გვხვდება.

DIANA KVARIANI
Dandy Style

დიანა ქვარიანის დებიუტი შედგა თბილისის მოდის კვირეულზე, რომელიც თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში გაიმართა. შეიძლება ითქვას, რომ მუსიკით დაწყებული, თმის ვარცხნილობით დამთავრებული, ყველაფერი არისტოკრატული იყო. თითქმის ყველა ლუქს George JB-ის ხელნაკეთი ქუდი გასდევდა შტრიხად. დიზაინერმა 50-იანი წლების დენდი მამაკაცი თანამედროვე ქალად აქცია. კოლექცია იყო კომერციული, ტენდენციური და რაც მთავარია კრეატიული. მიუხედავად იმისა, რომ 2014/15 წლის შემოდგომა/ზამთარი კოლექცია წარმოადგინა, დიზანიერმა არ უღალატა თავის სტილს და, არაჩვეულებრივად, შეძლო მკვეთრი და ნათელი ფერების შეხამება. რაც მთავარია, კოლექცია იყო კარგად აწყობილი და ჩვენებისთვის საინტერესოდ შეფუთული.

MARIAM GVASALIA
Sporty Chic

კვირეულის მე-2 დღე მარიამ გვასალიას ჩვენებით დაიწყო. სპორტული, ფერადი და ამავე დროს ძალიან მოდური! ინსპირაცია – ციფრები, რადგან თითქმის ყველა ლუქში შეგვხვდა სხვადასხვა ზომისა და ფერის ციფრი. როგორც ჩანს, cropped ზედები და მუხლს ქვემოთ ქვდაბოლოები სეზონის ტრენდი იქნება, რადგან მარიამ გვასალიას კოლექციაც ამ სტილზეა ორიენტირებული. პირველად აქ შეგვხვდა ბისერები და მაქმანებიანი ნაჭრის კაბები და ქვედაბოლოები, რომელიც სპორტულ ზედებთან ერთად ძალიან ორგანულად გამოიყურება. ტყავის კაბები, ტყავის პიჯაკები, სპორტული ჟაკეტები, დიდი ზომის ქურთუკები, არეულად აჭრილი ქვედაბოლოები, სპორტული შარვლები – როგორც ხედავთ, კოლექცია საკმაოდ მრავალფეროვანია, მაგრამ ეს ერთიან ხაზს არ არღვევს.

KETI CHKHIKVADZE
Strong Lady

ქეთი ჩხიკვაძე ამ სეზონზეც აქცენტს ნატურალურ ბეწვზე აკეთებს. ვერ ვიტყვი, რომ კოლექცია რაიმე სიახლით გამოირჩეოდა. გამოყენებული ჰქონდა ტყავი, მაქმანი, პრინტი. ტანსაცმლის სილუეტით,სტილით და გამოყენებული მასალით თუ ვიმსჯელებთ, ნამდვილად ეტყობოდა წინა კოლექციების გავლენა. დიზაინერი უფრო მეტად ორიენტირებული კომერციაზე იყო, რაც თავისთავას საინტერესო იდეების ნაკლებობას განიცდიდა. სასურველია, შემდეგ სეზონზე ასევე დიდი ყურადღება დაუთმოს როგორც მაკიაჟსა და თმას, ისე სტაილინგს.

MACH&MACH
Evening Time

MACH&MACH – 2014/15 წლის შემოდგომა/ზამთრის კოლექციაში საკმაოდ ფერადი და ჰაეროვანი კოლექცია ვიხილეთ, რაც, გაზაფხული/ზაფხულის სეზონს უფრო შეეფერებოდა. დიზაინერები აქცენტს საღამოს კაბებზე აკეთებენ, რაც საკმაოდ კარგად გამოსდით. გამოყენებული ქონდათ სხვადასხვა ფაქტურის ქსოვილები, რამაც საინტერესო გახადა ჩვენება.

AKA NANITASHVILI
Queen of Pearls

აკა ნანიტაშვილი – მშვიდი და ნათელი კოლექცია – ქალური ელემენტებით, პასტელური ფერებით, პრინტებითა, მაქმანებით და რათქმაუნდა, მარგალიტებით. მუხლს ქვემოთ კაბები და Cropped ზედები აქაც აქტუალურია. ოპერის პრინტი, რომელიც რამდენიმე ლუქში იყო გამოყენებული, ერთი შეხედვით მკვეთრი და პრეტენზიულია, მაგრამ წითელ და თეთრ მაქმანებს ძალიან უხდება! თითქმის ყველა კაბა, ჟილეტი და ზედა მარგალიტით არის გაწყობილი, რაც კოლექციას უფრო მეტად ქალურს და დახვეწილს ხდის, თუმცა, დიზაინერი მთლიანად ორიენტირებულია კომერციაზე, რის შედეგადაც, კრეატიულობას და სიახლეს იყო მოკლებული კოლექცია.

MATERIEL
BY ALEKSANDRE AKHALKATSISHVILI
Political Mistake

მოდა ხელოვნება თუ როგორც ბიზნესი? ამ კითხვაზე პასუხი ალექსანდრე ახალპაციშვილმა თავისი კოლექციით გაგვცა. თუ მხატვარი საუბრობს ნახატით, კომპოზიტორი კომპოზიციით, პოეტი ლექსით,დიზაინერი კი სამოსით, ალექსანდრე ახალკაციშვილმა ნამდვილად შეძლო კოლექციით გამოეხატა ტკივილი, რომელიც კონცეფციის სახით იყო წარმოდგენილი. შავ და ნაცრისფერ ფერებში გადაწყვეტილი პროტესტი, რომელიც 2008 წლის ომისკენ არის მიმართული, საინტერესო აქსესუარები – მავთულხლართების იმიტიაციით შექმნილი ქამარი, ყელსაბამი, სამაჯური და საყურე – რაც კიდევ უფრო ამძაფრებს კოლექციის ხასიათს. თმის ვარცხნილობაც კი კონკრეტულ მესიჯს აგზავნის მაყურებლისკენ! სასიხარულოა, როდესაც კიდევ არსებობენ დიზაინერები, რომლებიც ხელოვნებისკენ მიილტვიან.

DATUNA SULIKASHVILI
Red is the new black

თბილისის მოდის კვირეული დათუნა სულიკაშვილის ჩვენებამ დახურა, რომელიც თეატრისა და საგამოფენო დარბაზში, რიყეზე გაიმართა. კოლექცია სადა, დახვეწილი, გემოვნებიანი, ქალური და ამავედროულად მკაცრი იყო. 2014/15 წლის შემოდგომა/ზამთრის კოლექციით თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ წითელი ახალი შავია. დიზაინერის ძირითადად წარმოდგენილი ჰქონდა გრძელი პალტოები და კაბები,რომლებიც თვლებითა და ფოჩებით იყო გაწყობილი. კოლექციას ყველანაირი სტილის ქალისთვის არის შექმნილი.

გზა ანუკიდან

მაშინ, როდესაც საქართველოში სიტყვა მოდა საკმაოდ მნიშვნელობას მოკლებული იყო, ანუკი არეშიძემ, როგორც მოდელმა, მოდის დედაქალაქში, პარიზში დაიწყო მოღვაწეობა. შემდეგ იყო მილანი, ქალაქი, სადაც თავისი მომავალი მეუღლე გაიცნო. დღეს ის ყოფილი ფეხბურთელისა და ენერგეტიკის მინისტრის, კახა კალაძის მეუღლეა, ჰყავს 3 შვილი, თუმცა ეს არ აძლევს მოდუნების საშუალებას და უფრო მეტიც, თავდაუზოგავი შრომითა და მონდომებით ცდილობს, ახლა უკვე დიზაინერის ამპლუაში წარმოაჩინოს თავი.

INTERVIEW. **როდის დაინტერესდით მოდის სფეროთი?**

ANOUKI. 5 წლის ასაკიდან ძალიან მაინტერესებდა მოდა და ვოცნებობდი პარიზში წასვლაზე. ასაკის მატებასთან ერთად სულ უფრო მეტად მაინტერესებდა ეს სფერო. პირველი ჩემი სერიოზული ნაბიჯი მოდის ინდუსტრიაში იყო მოწვევა პარიზის ერთ-ერთი სააგენტოდან; შემდეგ იყო მილანი, რომელმაც ძალიან მჭიდროდ დამაკავშირა მოდასთან.

I. **გზა ANOUKI-მდე**

A. ინსტიტუტ „მარანგონიში" გავიარე მაგისტრატურა მოდის სტაილინგის განხრით. სწავლის 1-წლიანი პროცესი საკმაოდ რთული აღმოჩნდა. ალბათ, მოდის დიზაინზე რომ ჩამებარებინა, არ მომინდებოდა დიზაინერობა. დღევანდელი გადმოსახედიდან, ის, რომ სწორედ სტაილინგი ავირჩიე, ძალიან დამეხმარა ჩემს პროფესიაში. მოვხვდი საჭირო დროს, საჭირო გარემოში, რამაც გააძლიერა ჩემი სურვილი, მემუშავა ამ სფეროში და შემექმნა სამოსი. დავდიოდი დიორის, >

NOUKI-მდე

ANOUKI ARESHIDZE

ბარბერის და ბევრი სხვა ცნობილი მოდის სახლის ქარხნებში, ვუყურებდი, როგორ მუშაობდნენ, ვათვალიერებდი ნაჭრებს და ვხვდებოდი, რომ ეს სწორედ ის სფეროა, რომელში მუშაობაც მინდოდა.

I. ბრენდი ANOUKI

A. ეს არის Pret-a-porter-ის ხაზი, თუმცა ძალიან მიყვარს ხელით ნამუშევარი დეტალები, შესაბამისად ყოველთვის ვცდილობ, მცირე დოზით მაღალი მოდის ელემენტები შევიტანო კოლექციებში..

I. კოლექციაზე მუშაობისას რა ახდენს თქვენზე ყველაზე დიდ გავლენას?

A. მოგზაურობა ძალიან დიდ გავლენას ახდენს, მით უმეტეს, იმ ქვეყნებში, რომლებსაც კავშირი აქვთ მოდის სფეროსთან. იქ ისეთი კულტურა და გარემოა, რომ შეუძლებელია, შთაგონება არ მიიღო. ფილმებიც ძალიან დიდ გავლენას ახდენს ჩემზე, განსაკუთრებით 50-60-იანი წლების.

I. რა არის მოდა: ხელოვნება თუ ბიზნესი?

A. ჩემთთან ხელოვნება უფრო ახლოს არის, ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე, მაგრამ მოდის სახლები ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობენ მარკეტინგს, რადგან ამის გარეშე წარმოუდგენელია ბრენდის არსებობა.

I. მოდის ინდუსტრიაში წამყვანი ქვეყნებიდან რომლის სტილია თქვენთან ყველაზე ახლოს?

A. იტალია, შეიძლება იმიტომ, რომ 5 წელი იქ ვიცხოვრე, მაგრამ იქაური კულტურა და სტილი ჩემთან ძალიან ახლოს არის. ვფიქრობ, ეს არის მოწინავე ქვეყანა მოდის თვალსაზრისით.

I. ბრენდ ANOUKI-ს პირველი პერსონალური ჩვენება თბილისში

A. ძალიან ვნერვიულობდი, რადგან საქართველოში ჩემი პირველი ჩვენება იყო, მით უმე-ტეს, რომ ქართველები ძალი-ან კრიტიკულები ვართ. პირველი მესიჯი, რაც ამ ჩვენებით გავუგზავნე მოდის >

რისკი მიყვარს, მაგრამ არა გადამეტება. უპირატესობას ვანიჭებ ზომიერებას





რატომ დიზაინერი? ადამიანი, რომელსაც ერთხელ მაინც ჰქონია მოდის სფეროსთან შეხება და ამ სივრცეში თავს კომფორტულად გრძნობს, ძიების პროცესშია მანამ, სანამ არ იპოვის ადგილს, რომელიც სწორედ მისთვის არის განკუთვნილი. ასე მოხდა ანუკის შემთხვევაშიც; მიხვდა, რომ თუ აქამდე დიზაინერების მიერ შექმნილი სამოსით უწევდა პოზირება, ახლა უკვე თავად ჰქონდა ტანსაცმლის შექმნის სურვილი. ცოტა ხნის წინ თბილისში ბრენდ ANOUKI-ს ერთგვარი პრეზენტაცია შედგა, სადაც დიზაინერმა 2014/15 წლის შემოდგომა/ზამთრის კოლექცია წარმოადგინა. მიუხედავად ქართული საზოგადოების კრიტიკულობისა, დეფილემ ძალიან კარგი შეფასებები მიიღო. ანუკი არეშიძის თქმით, წარმოდგენილი სამოსი განკუთვნილია თავდაჯერებული, წარმატებული, დახვეწილი ქალებისთვის, რომლებსაც აქვთ სურვილი, გამოიყურებოდნენ განსხვავებულად. კრეატიული დირექტორის მთავარი მესიჯიც სწორედ ეს იყო, ქალბატონს უნდა ეტყობოდეს, რომ ის ბრენდ ANOUKI-ის მომხმარებელია.



ფილმებმა ძალიან დიდ გავლენას ახდენს ჩემზე, განსაკუთრებით 50-60-იანი წლების

მოყვარულებს, იყო ის, რომ მე დამოუკიდებლად მუშაობა თავისუფლად შემიძლია. ჩემი ქალის იდეალი არის ძლიერი, დამოუკიდებელი, მოდური, არ ეშინია სიახლეების და რაც მთავარია, ყოველთვის ვუსვამ ხაზს იმ დეტალებს, რომლებიც გამოარჩევს ANOUKI-ს ქალს სხვა ქალებისგან..

I. როგორც ახალგაზრდა დამწყები დიზაინერი, რამდენად რისკიანი ხართ კოლექციის შექმნის დროს?

A. რისკი მიყვარს, მაგრამ არა გადამეტება. უპირატესობას ვანიჭებ ზომიერებას. არ მიჩნდება სურვილი, გავაკეთო ისეთი რამ, რაც დიდ აჟიოტაჟს გამოიწვევს, ან პირიქით – შეუმჩნეველი დარჩება. ვცდილობ, ყველაფერი დავაბალანსო.

I. ვინ არის თქვენთვის ლეგენდა მოდის სფეროში?

A. ძალიან ვაფასებ კოკო შანელს. საკმაოდ რთული ცხოვრებისეული გზა განვლო და ძალიან თავისებურ ეპოქაში მოუწია თავის დამკვიდრება. მიუხედავად იმისა, რომ საშინელი ხასიათი ჰქონდა, მისი დამსახურებაა, რომ დღემდე მის აბსოლუტურად ყველა ნივთზე, თმის სამაგრზეც დიდი მოთხოვნაა. არ მეგულება ქალი, რომელიც არ ოცნებობს, გარდერობში ერთი შანელის პატარა შავი კაბა ჰქონდეს.

I. როგორ შეაფასებთ დღევანდელ სიტუაციას მოდის სფეროში?

A. ჩემი აზრით, დღესდღეისობით, ხელოვნება და კრეატივი უფრო უმნიშვნელო გახდა და აქცენტი მთლიანად გადატანილია მარკეტინგზე.

I. მოდა თუ სტილი?

A. ყოველთვის, უფრო მეტად მომწონს ქალბატონი, რომელსაც აქვს ინდივიდუალური სტილი, ვიდრე ქალბატონი, რომელიც ორიენტირებულია ბრენდებით შემოსვაზე. დღეს თბილისში ძალიან პოპულარულია ე.წ. FAKE ბრენდების მოხმარება. ყოველთვის ჯობს, გეცვას ვინტაჟი, ვიდრე იცხოვრო სიყალბეში.

I. სტილის ან მოდის ICON?

A. მიუჩია პრადა მიყვარს ძალიან. რამდენჯერმე ქუჩაშიც კი შემხვდა. მომწონს, რომ ძალიან თავმდაბალია.

I. თქვენი ცხოვრების დევიზი?

A. არაფერი ზედმეტი!

I. სად ხედავთ თავს 5 წლის შემდეგ?

A. მილანში.

I. რას აკეთებთ და გააკეთებთ იმისთვის, რომ მილანში მოხვდეს ANOUKI?

A. ჩემთვის უმნიშვნელოვანესია ინდივიდუალიზმი და ხარისხი. ვიცი, რომ ძალიან დიდი შრომა მელოდება წინ და ამისთვის მზად ვარ.

ანანო დოლაბერიძე

ᲝᲯᲐᲮ

საქორწინო რიტუალს უამრავი ტრადიცია უკავშირდება. ერთ-ერთი მათგანია ქორწილის წინა დღეებში წვეულების ორგანიზება, რომელზეც მომავალი მეუღლეები თავიანთი მეგობრების წრეში ერთმანეთის გარეშე აღნიშნავენ თავისუფლების და დამოუკიდებელი ცხოვრების უკანასკნელ დღეს. აღსანიშნავია, რომ ეს ტრადიცია ჩვენში ბოლო დროს დამკვიდრდა; ძველად საქართველოში მხოლოდ ცალ-ცალკე სამზადისით, პატარძლის მორთვით და მეფის მომზადებით შემოიფარგლებოდნენ.

სეფლების

გაცილება

დღესდღეობით ეს მხიარული, დასამახსოვრებელი და პოპულარული ზეიმია ყველასთვის, ვინც ოჯახის არცთუ მსუბუქი უღლის სატარებლად ემზადება. მიღებულია, რომ ამგვარი წვეულების ორგანიზება, ტექნიკური დეტალების მოგვარება თუ დროისა და ადგილის შერჩევა მთლიანად დასაქორწინებელი წყვილის მეგობრების პრეროგატივაა. ხშირად ამ ყველაფერს სიურპრიზის სახეც აქვს. გთავაზობთ რამდენიმე საინტერესო და ორიგინალურ იდეას. >

სტრიპტიზი

ტრადიციული და საკმაოდ პოპულარული არჩევანია მსგავსი ღონისძიებებისთვის. კარგი იქნება, თუ ამ წარმოდგენას სასაცილოსა და დაუვიწყარს გახდით რაიმე თქვენეული დეტალის დამატებით. მაგალითად - შეიძლება მოცეკვავის შემოსვლა არა სექსუალური სამოსით, არამედ სხვადასხვა პერსონაჟის ატრიბუტიკით. სახალისო და გამაოგნებელი იქნება იმავე სქესის მოცეკვავის მოწვევა, შემდეგ კი საზეიმო ვითარებაში საპირისპირო სქესის მოცეკვავის წარდგენა, როდესაც პუბლიკას შოკი გადაუვლის.

წვეულება სპა-სალონში

პირველი, რაც სპა-სალონში ორგანიზებული წვეულების არჩევისას უნდა გაითვალისწინოთ, ბიუჯეტია. მოგეხსენებათ, სპა-პროცედურები საკმაოდ ძვირადღირებული სიამოვნებაა, თუმცა ის შედეგი და ეფექტი, რაც ამ პროცედურებს ახლავს, ნამდვილად ღირს დანახარჯად. წინასწარი შეთანხმებით, შეიძლება სალონის ადმინისტრაციისგან თანხმობის მიღება და იმ დეტალების დამატება, რაც კონკრეტულად თქვენს წვეულებას ესადაგება. შეათანხმეთ პროცედურებიც. ამ შემთხვევაში სასარგებლო სასიამოვნოს შეგიძლიათ შეუხამოთ. გასაგებია, რომ ნეფეც და დედოფალიც ქორწილის მთავარი პერსონები არიან და ისინი მართლაც უნაკლოდ უნდა გამოიყურებოდნენ, ამიტომ შეარჩიეთ ისეთი პროცედურები, რომლებიც მათ გარეგნობასა და განწყობაზე მომენტალურად აისახება.

კვესტი

უჩვეულო და დასამახსოვრებელი იქნება სპეციალური თამაშის დაგეგმვა მომავალი მეუღლეებისთვის. არსებობს უამრავი სტრატეგია და გზამკვლევი, როგორ უნდა დაიგეგმოს მასშტაბური თამაში ადამიანის საცხოვრებელი უბნის ან სამსახურის ადგილსამყოფელის მიხედვით. ბოლო დროს მსოფლიოში საკმაოდ გავრცელებულია ამგვარი კვესტ-თამაშები. ბევრი კომპანია სარეკლამო ფანდადაც იყენებს. შეგიძლიათ ცალ-ცალკე დაგეგმოთ ნეფე-პატარძლისთვის სტრატეგია, შეგიძლიათ

ისე მოაწყოთ, რომ მინიშნებების და გამოცანა-ამოცანების ამოხსნის საბოლოო შედეგი მათი ერთსა და იმავე დროს რომანტიკულ ადგილზე შეხვედრა აღმოჩნდეს. ამ თამაშში სიამოვნებით ჩაერთვებიან სხვადასხვა დაწესებულებები და სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლები (მაგალითად, რესტორნები, კაფეები, აფთიაქები, ქუჩის მუსიკოსები... შესაძლებელია ფერადი ცარცით ან სპეციალური საღებავებით მარშრუტების მონიშვნა „მსხვერპლისთვის"... გვერწმუნეთ, ამ თამაშის ორგანიზებაც და განხორციელებაც საკმაოდ სახალისო, საინტერესო, დაუვიწყარი და განსხვავებული აქტივობაა.

ფოტოსესიის ორგანიზება

ადგილი შეგიძლიათ შეარჩიოთ მეგობრების გემოვნების, ამინდის ან მათი მიდრეკილებების მიხედით. მთავარი პირობა - დაუვიწყარი ფოტოსესიის ორგანიზებაა. ეს საუკეთესო საშუალებაა მოგონებების და მნიშვნელოვანი მომენტების დასამახსოვრებლად. შეგიძლიათ მოიფიქროთ შეხვედრის განსხვავებული ფორმატი და დააწესოთ დრესკოდი. მაგალითად, ყველა მომსვლელი აუცილებლად საღამურში უნდა იყოს გამოწყობილი, ან ყველას უნდა ჰქონდეს ცილინდრი ან სათვალე... მოუხმეთ ფანტაზიას და აქციეთ ფოტოსესია განუმეორებელ მოგონებად...

ნინო ლომიძე

AVON
the company for women

შენ ალამაზებ სამყაროს

ჩვენ მუდამ ძიების პროცესში ვართ, ვეძებთ უცხო, გამორჩეულ ფერებსა და სურნელს, არჩევანს უამრავ ნივთებს შორის იმ ერთადერთზე ვაკეთებთ, რომელიც მუდამ ჩვენი გახდება...

MAKEUP SETTING SPRAY

სპრეი მაკიაჟის დასაფიქსირებლად უნაკლოდ იცავს მაკიაჟს. მსუბუქი ფორმულა თანაბრად ფარავს სახეს, არ ტოვებს კვალს. შეიცავს A, C და E ვიტამინებს. გამოიყენეთ როგორც მაკიაჟის დამასრულებელი შტრიხი.

ეივონი

კომპანია ქალებისათვის

PHOTO: Anne Vyalitsyna and Kellan Lutz for Dylan George by Yu Tsai

ინტიმური გეოგრაფია

ადამიანის ორგანიზმი სრულყოფილი ინსტრუმენტია – ამ მოსაზრებას ეთანხმება უამრავი მონათესავე ან საერთოდაც, ერთმანეთისაგან აბსოლუტურად განსხვავებული სფეროს წარმომადგენელი: ფიზიოლოგები, ბიოლოგები, ექიმები, ფილოსოფოსები... ადამიანმა უნდა იცოდეს ამ ინსტრუმენტის სწორად გამოყენება – ესეც საყოველთაოდ აღიარებული ჭეშმარიტებაა. სტატიაში სწორედ ამ საკითხს მიმოვიხილავთ და ხატოვნად რომ ვთქვათ, შევეცდებით ინტიმური გეოგრაფიის ლაბირინთებში არიადნეს ძაფის როლი შევითავსოთ.

რას ნიშნავს ეროგენული ზონა

ინტიმური ურთიერთობები, მარტივად რომ ვთქვათ – სექსი, ოდითგანვე კაცობრიობის ინტერესის და შესწავლის ობიექტია. და თუ ცხოვრების გარკვეულ პერიოდში უმეტესობისთვის რაოდენობრივი ასპექტი მეტად მნიშვნელოვანია, დგება მომენტი, როცა თვისებრივ და ხარისხობრივ მაჩვენებელს მეტი პრიორიტეტი ენიჭება. სწორედ ამ ეტაპზე დგება დღის წესრიგში ისეთი საკითხებით და თემებით დაინტერესება, როგორიცაა ეროგენული ზონები. მშრალი და ენციკლოპედიური განმარტება ასეთია – ეროგენული ზონა სხეულის ის „ეპიზოდები" და „მონაკვეთებია", რომელთა „გაღიზიანებაც" (როგორი არაშესაბამისი სიტყვაა...) იწვევს სქესობრივ აგზნებას და ორგაზმსაც კი. ძირითადად, ეს კანის ან ლორწოვანი გარსის მონაკვეთებია. შეგვიძლია დაკონკრეტებაც – ტუჩები, სასქესო ორგანოები, სარძევე ჯირკვლები და მათი მიმდებარე ტერიტორიები, პირის ღრუ...

სექსოლოგები და ფიზიოლოგები ეროგენული ზონების ორ ძირითად ტიპს გამოყოფენ: ძირითადს და დამატებითს.

ძირითადი – სხეულის მეტად მგრძნობიარე ნაწილებია და მათზე ზემოქმედების შედეგად პარტნიორს ორგაზმამდე მიიყვანთ. მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, რომ ყველა მათგანი (ანუ ძირითადი ეროგენული ზონები) გენიტალიების (სასქესო ორგანოების) მიდამოებში მდებარეობს.

რაც შეეხება დამატებით ეროგენულ ზონებს – მათზე ზემოქმედება, მათი სტიმულირება უმეტესწილად, სექსუალური აქტის პრელუდიის დროს ხდება. დამატებით ზონებში ხვდება: ყურები, ყელი, მკერდი, მუცელი, ზურგი, ბარძაყები... ამ წერტილებზე „მუშაობა" ძლიერ ეროტიკულ შეგრძნებებს იწვევს, თუმცა დამატებითი ეროგენული ზონების მგრძნობელობა შეიძლება სხვადასხვაგვარიც იყოს. გასათვალისწინებელია, რომ ეს ზონები შესაძლოა, უაღრესად ინდივიდუალური იყოს. ანუ თუ ერთს უდიდეს სიამოვნებას ანიჭებს, მაგალითად, ყურზე მოფერება, სხვისი პრიორიტეტი – ზურგია, ვიღაცისთვის ეს შეიძლება იყოს კეფის მიდამო ან ყელი და ასე შემდეგ... ამიტომაც შეეცადეთ, კარგად შეისწავლოთ თქვენი პარტნიორის მგრძნობიარე ადგილები. >

რატომაა სასარგებლო დილის სექსი

ა) კარგად აფხიზლებს ხანმოკლე ძილის შემდეგაც;
ბ) ადამიანს მუხტავს დადებითად;
გ) დილის ორგაზმი მეტად მძაფრი და სასიამოვნოა;
დ) სახეს სიმშვიდეს, თვალებს კი ბრწყინვალებას მატებს;
ე) დილის სექსი კარგი შემცვლელია დილის აერობიკის;
ვ) ყავასა და ენერგეტიკულ სასმელებზე მეტად მატებს ორგანიზმს ენერგიას.

ფოტო: Anne Vyalitsyna and Kellan Lutz for Dylan George by Yu Tsai

ჯენდერის საკითხი

კაცისა და ქალის თანასწორობის იდეა დღეს მეტისმეტად აქტუალურია. ქალები იღვწიან საკუთარი უფლებების დასაცავად და ყოველმხრივ ცდილობენ იმის დადასტურებას, რომ არანაკლები შესაძლებლობები და უფლებები აქვთ, ვიდრე საპირისპირო სქესს, რომელსაც ისტორიულად განპირობებული რეალობის გამო „ძლიერ სქესს" უწოდებენ. საბედნიეროდ, თანამედროვე ცივილიზაცია შორს დგას იმ აზრისგან, რომ სქესმა უნდა განსაზღვროს ადამიანის ბედი, მისი წარმატება-წარუმატებლობა, ცხოვრება, ცხოვრების ხარისხი და საქმიანობის სფერო. მართალია, სამუშაო ამ მხრივ კიდევ ბევრია და საბოლოო შედეგზე საუბარი ჯერ ნაადრევია, თუმცა საკამათო ნამდვილად აღარ არის ის, რომ ჯენდერის საკითხი დღეს მეტად მოწესრიგებულია, ვიდრე ოდესმე ყოფილა კაცობრიობის ისტორიის განმავლობაში (მატრიარქატი არ ითვლება, რადგან თანასწორობაზე საუბარი ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის პირობებში შეუძლებელია). თუმცა არის მოცემულობა, რეალობა, ფაქტი, რომელსაც ვერსად წაუვალთ. ქალი და კაცი ფიზიოლოგიურად, ანატომიურად განსხვავებული სქესის წარმომადგენლები არიან და ეს განსხვავებულობა განაპირობებს კიდეც ჩვენთვის საინტერესო საკითხთან მიმართებით იმ განსხვავებული მიდგომების აუცილებლობას, რაზეც ქვევით ვისაუბრებთ.

ჰკითხეთ ნებისმიერ მამაკაცს, სად არის უმთავრესი ეროგენული ზონა, ეროზონების ეპიცენტრი და პასუხად მიიღებთ მოკლე და ყოვლისმომცველ პასუხს – ფეხებშუა! დაუსვით იგივე კითხვა ქალს და მოემზადეთ გრძელი და საინტერესო ჩამონათვალის მომსასმენად.

კოცნა

კოცნას მოქმედებაში მოყავს სახის 200 კუნთი. ასეთი სახის „ვარჯიში" წარმოადგენს ნაოჭების პროფილაკტიკას. კოცნის დროს ორგანიზმში გამომუშავდება ნარკოტიკული ნივთიერება რომელიც 200-ჯერ ძლიერია მორფინზე. სწორედ ამიტომ კოცნისას ადამიანი განიცდის სიხარულს, ბედნიერებას, გაოცებას. მამაკაცები რომლებიც სამსახურში წასვლის წინ კოცნიან მეუღლეებს, 5 წლით მეტხანს ცოცხლობენ.

ქალისა და მამაკაცის ეროგენული ზონები

არსებობს რამდენიმე ძირითადი ეროგენული ზონა, რომელთა სტიმულირებაც, მარტივად კი, ალერსი, ქალების უმეტესობას უდიდეს სიამოვნებას ანიჭებს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ლიდერი ამ ჩამონათვალში ქალის სხეულის უმშვენიერესი ნაწილი – მკერდია. დიახ, ქალისთვის მკერდი მძაფრი ეროგენული ზონაა, თუმცა, გავრცელებული და საფუძველს არც თუ მოკლებული აზრით, პირველი ადგილის დამკვიდრებაში მკერდს კონკურენციას უწევს კლიტორი. ერთი სიტყვით, ერთი ზონაც და მეორეც, ფაქტობრივად, გარანტირებული საშუალებაა პარტნიორისთვის სიამოვნების მისანიჭებლად. პრიორიტეტების დასახვა და გამარჯვებულის გამოვლენა ამ შემთხვევაში კონკრეტულად თქვენს პრატიკას და პირად გამოცდილებას უნდა მიანდოთ.

მიჩნეულია, რომ კანის ზედაპირი ქალებს უფრო მეტად მგრძნობიარე აქვთ, ვიდრე მამაკაცებს, განსაკუთრებით ზურგის არეში. ქალების დიდ ნაწილს მოსწონს ზურგზე ენით მსუბუქად შეხება. იმავე სიძლიერისაა ყელი და კისრის მიდამოებიც. სექსის სახელმძღვანელოებსა და ამ თემისადმი მიძღვნილი ბესტსელერებში ხშირად შეხვდებით რეკომენდაციას – გადაუწიეთ ქალბატონს თმები ნაზად და მზრუნველობით და მსუბუქი, ხშირი კოცნით დაფარეთ ყელის და კისრის მიდამოები (ხშირად ასეთ გაფრთხილებასაც წააწყდებით – ამის ჩადენამდე დარწმუნდით, რომ ქალი მზადაა ამ საჩუქრის მისაღებად. წინააღდეგ შემთხვევაში, თქვენ თავად დასაჩუქრდებით მწარე სილით!)

რაც შეეხება სხვა ორგანოების ჩამონათვალს, რომელიც ერთიანობაში ქალების მგრძნობელობის რუკას ქმნის, მათი „გეოგრაფია" ასეთია: სახე – ტუჩები, ცოტა ქვემოთ, სამხრეთისკენ – კისერი, კიდევ უფრო ქვემოთ – მუხლქვეშა მიდამო, ყურები და ბოქვენი.

საერთო რეკომენდაცია – შეისწავლეთ საყვარელი ქალის ეროგენული ზონები, მისი ეროგეოგრაფია დაკვირვების ან „ანკეტირების" ანუ გამოკითხვის მეთოდით. ეს ძალიან მარტივია, თუ გულწრფელი და ღია ურთიერთობა გაქვთ საყვარელ ადამიანთან ან პარტნიორთან. >

PHOTO: Anne Vyalitsyna and Kelvin Luiz for Dylan George by Yu Tsai

კანის ზედაპირი ქალებს
უფრო მეტად მგრძნობიარე
აქვთ, ვიდრე მამაკაცებს.
გადაუწიეთ ქალბატონს თმები
ნაზად და მზრუნველობით და
მსუბუქი, ხშირი კოცნით დაფარეთ
ყელის და კისრის მიდამოები

ეროტიული მასაჟი

დასავლურ სამყაროში ქალის გენიტალიების სტიმულაცია გამოიყენებოდა სამედიცინო მიზნებისთვის ჰისტერიის სამკურნალოდ. ეროტიული მასაჟი განსაკუთრებით ხელმისაწვდომი და მარტივი გახდა ვიბრატორების შექმნის შემდეგ, რომელმაც საქმე საათებიდან წუთებამდე შეამცირა. ეროტიული მასაჟი ასევე გამოიყენება ნაადრევი ეაკულაციის სამკურნალოდ. ეს ტექნიკა მოიცავს მენჯის კუნთების რელაქსაცას და ამ მეთოდით ხანგრძლივდება აგზნება და ძლიერდება სიამოვნება.

რაც შეეხება მამაკაცებს. ზოგადად, უკვე ითქვა, რომ მათი წარმოდგენები, ფანტაზიები, ეროგენული ზონები კონცეტრირებულია გენიტალიებზე, თუმცა საქმე არც ისე მარტივადაა. მამაკაცთა უმრალესობას ანატომიური აგებულების თავისებურებების გამო აქვს სხვა ისეთი „ღილაკებიც" რომლებზე „დაჭერაც" საჭირო ეფექტს გამოიღებს. ნუ გაგიკვირდებათ და მამაკაცთა ერთ-ერთ უმთავრეს ეროგენულ ზონად ასევე მკერდი, უფრო სწორად კი, ძუძუსთავები ითვლება. მამაკაცებზე საუბრისას აუცილებლად უნდა ვახსენოთ ისეთი შეუმცდარი და უნივერსალური მეთოდი, როგორიც ეროტიკული მასაჟია. გთავაზობთ რამდენიმე მარტივად შესასრულებელ „რეცეპტს" სასურველი შედეგის მისაღწევად.

ეროტიკული მასაჟი

ეს საუკეთესო ხერხი და იდეალური საშუალებაა, იმისათვის, რომ აღმოაჩინოთ მამაკაცის ეროგენული ზონები და შეასრულოთ ვირტუოზული პრელუდია ინსტრუმენტზე, რომელსაც მამაკაცის სხეული ჰქვია, მაგრამ სანამ მასაჟს დაიწყებდეთ, დარწმუნდით, რომ ოთახში საკმარისი სითბოა და ამასთან, იყავით წინდახედული – რიტუალს სრული სიმშვიდე, სიწყნარე და განმარტოება სჭირდება (აბსტრაგირება გარე-გამღიზიანებლებისგან, როგორიცაა მჭახე დღის შუქი, ხმაური, ხალხმრავლობა...) რჩევა: მგრძნობიარე ზონების (სახის, ყელის, თავის, მკერდისა და ხერხემლის) სტიმულირებისას გამოიყენეთ თითების ბალიშები, ცხვირი და ტუჩები. ის ზონები, რომლებიც მეტი ცხიმოვანი ქსოვილით არის დაფარული (ბარძაყები, უკანალი), უფრო ძლიერ ზემოქმედებას საჭიროებს. ამ დროს მასაჟში ხელისგულები უნდა ჩართოთ. ძირითად ეროგენულ ზონებზე კი ნაზი და ფრთხილი მასაჟია საჭირო.

მორალი: შეისწავლეთ საყვარელი ადამიანების ეროგეოგრაფია, იქეცით „პირველაღმომჩენებად", აითვისეთ ახალ-ახალი ტერიტორიები და ნურასდროს შეგეშინდებათ ექსპერიმენტების!

ნინო ლომიძე

ფოტო: Anne Vyalitsyna and Kellan Lutz for Dylan George by Yu Tsai

“primeclass” CIP სამსახური
თქვენი პირადი დამხმარე აეროპორტში

ექსკლუზიური მომსახურება
ჩამოსვლისას
თუ გამგზავრებისას

მებარგულის
მომსახურება

პირადი ასისტენტი
უსაფრთხოების კონტროლის
გავლისას

პირადად თქვენთვის
განკუთვნილი მოსასვენებელი
დარბაზები

TAV
primeclass

თბილისი : +995 322 310 330
ბათუმი : +995 422 235 111
www.primeclass.com.tr
TAV Georgia Operation Services L.L.C.

KANDELAKI

ჯგნი

ჩემთვის პაერივით არის

KAKHA

პროფესიით მხატვარ-გრაფიკოსია. სპორტის სახეობიდან კი წყალბურთს მისდევდა. მუსიკასთან მისი „მეგობრობა“ ფესტივალებიდან დაიწყო. იქიდან გამომდინარე, რომ წყალბურთის ნაკრებში თამაშობდა და ხშირად მოგზაურობდა. ზუსტად იცოდა, რომ მოვიდოდა დრო და თბილისში მეგობრებთან ერთად კომპანია „ისთერნ ფრომოუშენს“ დააფუძნებდა, რომელიც დღეს უკვე ყოველწლიურად ათამამებს ქართველ მელომანებს გემოვნებიანი მუსიკის ფესტივალებით. მათი პირველი წარმატებული პროექტი კი ჯაზის ლეგენდას, რეი ჩარლზს უკავშირდება. რუბრიკის სტუმარი კომპანია „ისთერნ ფრომოუშენის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, პახა პანდელაპია.

jazz

INTERVIEW. ბატონო კახა, როგორ დაიწყო თქვენი საქმიანობა „ისთერნ ფრომოუშენში“?

KAKHA KANDELAKI. ეს დიდი ხნის წინ იყო. კომპანია ოთხ მეგობართან ერთად შევქმენი. საბჭოთა კავშირის ნაკრებში ვთამაშობდით, დინამო-თბილისში. ჯაზის მოსმენა მამაჩემის წყალობით დავიწყე. კომუნისტების დროს პირველი როკ და ჯაზ ფესტივალი სწორედ მისი თაოსნობით ჩატარდა. მე და ჩემი მეგობრები მელომანები ვიყავით, ხშირად ვმოგზაურობდით, ამიტომ უამრავ მუსიკალურ ფესტივალს დავესწარით. ნატვრა გვქონდა და ვიცოდით, რომ აუცილებლად მოვიდოდა დრო, როდესაც საკუთარ კომპანიას შევქმნიდით. მართლაც, ფანტაზიები ბიზნესში გადაიზარდა და დღეს უკვე წარმატებული კომპანიის, „ისთერნ ფრომოუშენის“, სულის ჩამდგმელები ვართ.

I. პირველი წარმატებული პროექტი...

K. K. 1996 წელს, კომპანია „კოკა-კოლასთან“ ერთად, პირველი პროექტი განვახორციელეთ. მაშინ საქართველოში ვერავის წარმოედგინა, რომ თბილისში მსგავსი დონის მომღერალი ჩამოვიდოდა. მახსოვს, როგორი ამაყი ვიყავი, როდესაც ლეგენდარული რეი ჩარლზი თვითმფრინავის ტრაპთან დავინახე. ჯაზმენი 35-კაციან ორკესტრთან ერთად ჩამოვიდა. დღემდე მიკვირს, როგორ მოვახერხეთ, ფაქსით დაგვეთანხმებინა რეი ჩარლზი, რომ თბილისში ჩაეტარებინა კონცერტი. სრული ანშლაგი და არცერთი გასაყიდი ბილეთი – ასეთი აღმოჩნდა ჩვენი პირველი წარმატებული პროექტი.

I. რამდენად საინტერესოა საქმე, რომელსაც ამდენი წელია, ერთგულად ემსახურებით?

K. K. წარმოუდგენელია, აკეთო ეს საქმე, თუ არ ხარ მელომანი და მუსიკალური სამყაროს ფანი. ჯაზი ჩემი განუყოფელი ნაწილია; ავტომობილში, სამსახურში, სახლში 24 საათის განმავლობაში, მუდმივად ვუსმენ. ჩემს მეუღლეს უკვირს, როგორ შემიძლია ამ დოზით მუსიკის მოსმენა. ამითი ვცხოვრობ, ჩემთვის ჰაერივით არის მუსიკა და სპორტი.

I. „ისთერნ ფრომოუშენი“ ერთადერთი კომპანიაა საქართველოში, რომელიც ქართველ მელომანებზე და მათ გემოვნებაზე ზრუნავს, რის მიხედვით არჩევთ მომღერლებს?

K. K. მუსიკოსებს ჩვენი გემოვნებით ვარჩევთ. უკვე ჩამოვიყვანეთ: ჯეიმს ბრაუნი, ჰერბი ჰენკოკი, ჯო ზავინული, ჩიკ კორეა. უკვე წლებია, „ისთერნ ფრომოუშენი“ ხარისხიანი მუსიკის სადარაჯოზე დგას; ეს არის ერთადერთი კომპანია, რომელმაც სპეციალურად ქართველი მსმენელისთვის მოიწვია: შაკირა, ჯო კოკერი, სტინგი, ანდრეა ბოჩელი, ჯემიროქუაი, ქულიო და სხვები.

I. შეგიძლიათ გაიხსენოთ თქვენთვის ყველაზე დასამახსოვრებელი კონცერტი?

K. K. ბუნებრივია, შემიძლია და გეტყვით, რომ არასდროს დამავიწყდება რეი ჩარლზისა და ჯეიმს ბრაუნის კონცერტი. ჯეიმს ბრაუნი რომ ჩამოვიყვანეთ, კონცერტის ჩატარება „ლაგუნა ვერეს“ საცურაო აუზზე იყო გადაწყვეტილი. კონცერტის მსვლელობის დროს ბატონი ჯეიმსი აუზში გადახტა. ატყდა ერთი ამბავი, არც დავფიქრებულვარ, მაშინვე მივყევი მეც; აღმოჩნდა, რომ ცურვა არ იცოდა; „კაზაჩოკების“ სტილის ფეხსაცმელი ეცვა, რომელიც წყლით გაივსო და კინაღამ დაიხრჩო. ხუმრობით ვამბობ ხოლმე, გაუმართლა, ორგანიზატორები რომ წყალბურთელები ვიყავით-მეთქი.

I. **რა იყო ფესტივალის ფარგლებში მუსიკოსების ნაჩუქარი ყველაზე ორიგინალური საჩუქარი?**

K. K. ისევ და ისევ მახსენდება ჯეიმს ბრაუნი, რომელმაც მაჩუქა მაისური, წარწერით „ჩემს ძმას". მისი მენეჯერისგან გავიგე, რომ მე ვიყავი პირველი თეთრკანიანი, რომელსაც ჯეიმსმა უწოდა ძმა. ჩემთვის ძვირფას საჩუქარს ჩარჩო გავუკეთე და საპატიო ადგილი სამსახურში, ჩემს კაბინეტში მივუჩინე.

I. **რომელიმე მუსიკოსს იმედი თუ გაუცრუებია თქვენთვის და არ დაგთანხმებიათ თბილისში ჩამოსვლაზე?**

ვარსკვლავები ცოტა უცნაური ხალხია, ამიტომ მათგან გასაკვირი არაფერია. მთავარია, რომ ჩვენს შეთავაზებას ადეკვატური რეაქცია და გამოხმაურება მოჰყვეს და ყველაფერი რიგზე იქნება. არის შემთხვევები, როდესაც მუსიკოსს, უბრალოდ, არ სურს ჩამოსვლა და ამ ყველაფერს უცნაური მიზეზი აქვს. საკმაოდ დიდი ხანია, ვცდილობთ, კიტ ჯარეტის ჩამოყვანას. ესპანეთში გამართულ ჯაზფესტივალზე კომპანია „ისთერნ ფრომოუშენის" ერთ-ერთი დამფუძნებელი, მიშა გიორგაძე ესაუბრა. მან უპასუხა ეგზოტიკურ ქვეყნებში არ დავფრინავო. დიდი ხნის განმავლობაში ვაწარმოებდით მოლაპარაკებას პატრიცია კასთან, რომელიც დავითანხმეთ და 31 მაისს თბილისში გამართავს კონცერტს.

I. **ვის ჩამოიყვანდით ფესტივალზე მეორედ?**

K. K. პირადად მე თბილისში აუცილებლად გავიმეორებდი ჰერბი ჰენკოკის კონცერტს. ის პლანეტის უდიდესი მუსიკოსია. მე ვფიქრობ, მან განავითარა ძალიან ისეთი დიდი მიმდინარეობა, როგორიც ელექტრონული ჯაზია. ჭკვიანი ადამიანია. მისი კონცერტი ყოველთვის სურპრიზებით არის სავსე. ძალიან გაგვიმართლა და იმ წელს, როდესაც თბილისში ჩამოვიყვანეთ გრემის 48-ე დაჯილდოვების ცერემონიალზე მისმა დაკრულმა პროგრამამ აიღო გრემი, ნომინაციაში წლის ალბომი. აღნიშნული ჯილდო 40 წლის განმავლობაში არცერთ ჯაზმენს არ აუღია.

I. **რაიმე კურიოზი თუ გადაგხდენიათ?**

K. K. ერთ-ერთი უცხოელი ვარსკვლავის განსაკუთრებული მოთხოვნა იყო შავ-თეთრი პირსახოცი. სად არ ვეძებეთ, მაგრამ უშედეგოდ. ბოლოს შევიძინეთ ცალკე თეთრი და ცალკე შავი პირსახოცები და მკერავის დახმარებით გადავაკერეთ ერთმანეთს. შაკირას მოთხოვნა ვარდისფერი ჯაკუზი იყო. რიყეზე ავაშენეთ ქალაქი, დავდგით ჯაკუზი და სასტუმროდან ისე ავიდა სცენაზე ჯაკუზი არავის გახსენებია. ჯემიროქუაი კი საკუთარი მოტოციკლეტით ჩამოვიდა.

I. **რა სიახლეებს სთავაზობს „ისთერნ ფრომოუშენი" საზოგადოებას?**

K. K. 24-27 ივლისს ბათუმში ჯაზფესტივალს ვუმასპინძლებთ, რომელიც გათვლილია ოჯახურ დასვენებაზე. ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ, რომ ყველას გემოვნება დავაკმაყოფილოთ და მელომანებს ჯაზის უფრო მსუბუქი მიმდინარეობებიც შევთავაზოთ. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ევროპაში ყველაზე მაგარი საფესტივალო პროგრამა წელს ჩვენ გვაქვს.

სოფიო დვალიშვილი

ჯაზის ოთხი დღე ბათუმში

„ისთერნ პრომოუშენი“ აგრძელებს მსოფლიო ჯაზის ვარსკვლავების მასპინძლობას. 2014 წლის ზაფხულში, ბათუმში, რიგით მე-8 ჯაზ ფესტივალი გაიმართება. ბათუმის ტენისის კორტებზე ოთხდღიანი ჯაზის დღესასწაული მოეწყობა.

თამარ კირვალიძე (TBC Bank), მიხეილ გიორგაძე (Eastern Promotion), გურამ ოდიშარია (საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი)

მავი ზღვის ჯაზ ფესტივალი 2007 წლიდან ტარდება ბათუმში და ყოველწლიურად უამრავ ჯაზის მოყვარულს იზიდავს. ფესტივალის წარმდგენნი არიან საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო და თიბისი ბანკის პერსონალური საბანკო მომსახურეობა - TBC Status.

ბილეთების ფასი 50-70-90 ლარია. მათი შეძენა შესაძლებელია საიტზე - Biletebi.ge. ასევე, თიბისი ბანკი თავის კლიენტებს 15%-დან 20%-მდე ფასდაკლებას სთავაზობს TBC Platimun, TBC PrimeCard და TBC Status ბარათებით შეძენის შემთხვევაში.

გვანცა ნემსაძე

KOOL& THE GANG

24 ივლისს ფესტივალს გახსნის ამერიკული ჯაზის, სოულისა და ფანკის შემსრულებელი ბენდი KOOL&THE GANG. მათ ანგარიშზე 70 მილიონზე მეტი გაყიდული ალბომი მთელ მსოფლიოში. ჰიტებად ქცეული სიმღერების: Celebration, Jungle Boogie, Summer Madness და Open Sesame-ის მეშვეობით, ორჯერ მოიგეს გრემი და შვიდჯერ ამერიკის მუსიკალური ჯილდო. ჯგუფმა 31 ოქროსა და პლატინის ალბომი გამოუშვა და 35 წლის განმავლობაში მსოფლიოს დიდ სცენებზე პოპულარობა არ დაუკარგავს. Kool and the Gang ცნობილია თავისი არაოდინალური სტილითა და თავისებური მუსიკალური გაფორმებით.

LIV WARFIELD, THE NPGHORNZ

25 ივლისს, ფესტივალს გააგრძელებს R&B და Soul-ის შემსრულებელი, განსაკუთრებული ხმის ტემბრის მქონე LIV WARFIELD, THE NPG HORNZ-თან ერთად. მან თავისი პირველი ალბომი 2006 წელს გამოუშვა, სახელწოდებით – Embrace Me; ეს არის დახვეწილი ბალადების კრებული, რომელმაც მსოფლიოს პირველად დაანახა ამ მომღერლის ნიჭი. ამჟამად იგი პრინცის ბენდის, New Power Generation-ის წევრია და მონაწილეობა აქვს მიღებული მის ელექტრონულ ლაივ შოუში – NPG Hornz. მომღერლის ბოლო ალბომი 2014 წლის დასაწყისში გამოვიდა, რომლის აღმასრულებელი პროდიუსერი ასევე პრინცი გახლდათ.

BOOTSY COLLINS

26 ივლისს, ფესტივალის მესამე დღეს, ფანკისა და R&B-ის ყველა დროის საუკეთესო შემსრულებელი, ბასისტი და ვოკალისტი – ბუოსი ქოლინზი (BOOTSY COLLINS) გამოვა. საზოგადოებამ ის 1970 წელს გაიცნო, როდესაც სცენაზე ჯეიმს ბრაუნთან, მოგვიანებით კი Parliament-Funkadelic-თან ერთად გამოვიდა. 1997 წელს, ბუოსი ქოლინზი Parliament-Funkadelic-ის 15 წევრთან ერთად მოხვდა იმ პირთა სიაში, რომლებსაც განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით მუსიკის სფეროს განვითარებაში.

MARIO BIONDI

27 ივლისს, ბათუმის ტენისის კორტებზე, ფესტივალის ფარგლებში, ბოლო კონცერტს გამართავს იტალიელი ჯაზ-სოულ ვოკალისტი მარიო ბიონდი (MARIO BIONDI). 12 წლის ასაკში ის უკვე ეკლესიაში მღეროდა, შემდეგ მონაწილეობა მიიღო სიცილიის სიმღერის ფესტივალში – Festival della Canzone Siciliana, სადაც მესამე ადგილი აითო. მომღერალი სცენაზე ცნობილ იტალიელ მომღერლებთან, კალიფანოსთან, ბონგუსტოსთან, ფიორელოსთან და ამერიკელ ლეგენდასთან, რეი ჩარლზსთან ერთად გამოდიოდა. ბიონდის სადებიუტო ჩანაწერი 2006 წელს Family Affiar-მა გამოუშვა. სოულის სტილში შესრულებული სიმღერა – This is what you are – მალევე გახდა პოპულარული იტალიასა და დიდ ბრიტანეთში.

MEN IN BRASS

24-26 ივლისს ფესტივალის ეგიდით ბათუმის ბულვარის ტერიტორიაზე ჯგუფი MEN IN BRASS 12:00-დან 17:00 საათამდე 15 უფასო შოუს გამართავს. ნებისმიერ მსურველს საშუალება ექნება, მივიდეს და ცოცხალ მუსიკას მოუსმინოს.

ელის ანა მანრო (Alice Ann Munro) და „ძვირფასო ცხოვრება!“ (Dear Life)

„მე ვცხოვრობდი იქ, სადაც გრძელი გზა სრულდებოდა. ან ასე მეგონა, რადგან ყოველ დღე, სკოლის შემდეგ, გავდიოდი დიდ გზას და ეს გზა, უფრო გრძელი, რჩებოდა ჩემს უკან. ეს იყო ნამდვილი ქალაქი, გზებით, ტროტუარებით და გარე განათებებით, რომლებსაც საღამოს, დაბნელებისას რთავდნენ.“ ელის მანრო, Dear Life.

2013 წლის ნობელიანტი ელის ანა მანრო 82 წლისაა. ცხოვრობს კანადაში და მისი ბოლო წიგნიც, Dear Life, ავტობიოგრაფიულია. მცირე ნოველების ავტორს 15-მდე კრებული აქვს გამოცემული. მის გაცნობას, რა თქმა უნდა, ბოლო წიგნით გირჩევთ. ერთდროულად გაეცნობით მის ავტობიოგრაფიას და მწერლურ ოსტატობას. The Guardian-მა კრებული ასე შეაფასა: მოკლე, დახვეწილი და ოსტატური. ავტობიოგრაფიული წიგნი მოგვითხრობს თუ რამდენად საშიში, უცნაური და არაორდინალურია ცხოვრება.

„ელის მანრო – ჩვენი ჩეხოვი“ – ჟურნალ The New Yorker-ის გვერდებზე სტატია 2013 წლის ნობელიანტზე ამ სათაურით გამოქვეყნდა. სწორედ იმ ჟურნალში, სადაც მის მოთხრობებს ხშირად შეხვდებოდით, ამბობდნენ, რომ ელის მანრო უნობელო მწერალთა ჯგუფს შეუერთდებოდა. მაგრამ შეცდნენ. ის პირველი კანადელია, რომელმაც ნობელი ლიტერატურის დარგში მიიღო. თუ უფრო დავწვრილმანდებით, ამ დარგში მეცამეტეა ქალბატონ ნობელიანტებში.

ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა



„ძალიან ახალგაზრდა ბიტნიკობისთვის და ძალიან მოხუცი ჰიპობისთვის“ – ასე ახასიათებს საკუთარ თავს ლიტერატურის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ნაწარმოების ავტორი. კენ კიზის (Ken Kesey) ყველაზე პოპულარული რომანი „ვირაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა“ (One flew over the cuckoo's nest).

რომანი 1962 წელს დაიწერა. ერთ წელში ის ბროდვეიზე დადგეს, მოგვიანებით, მისი ეკრანიზაცია გადაიღო მილოშ ფორმანმა. ფილმი ისეთივე წარმატებული აღმოჩნდა, როგორც ნაწარმოები. 5 ოსკარი საუკეთესო ფილმისთვის, ქალის და მამაკაცის როლისთვის, რეჟისურისთვის და ადაპტირებული სცენარისთვის. რომანის მთავარი გმირის, მაკმერფის ხსენებისას კი ყველას ჯეკ ნიკოლსონი გვახსენდება. არადა, სწორედ მის გამო წამოვიდა კენ კიზი გადამღები ჯგუფიდან. თქვა, რომ ფილმს არასოდეს ნახავდა.

ჟურნალისტი და ესეისტი კენ კიზი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მუშაობდა და ნებაყოფლობით მონაწილეობას იღებდა ადამიანის ორგანიზმსა და ფსიქიკაზე ჰალუცინოგენების ზემოქმედების შემსწავლელ ექსპერიმენტში. სწორედ ამ ორმა ფაქტმა შთააგონა, დაეწერა რომანი „ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა.“

ნაწარმოები პირველ პირშია დაწერილი. მთხრობელი ზედმეტსახელად „ბელადია“. ყველასთვის ყრუ და მუნჯი. ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მიმდინარე მოვლენებზე თუ მოგიყევით, მთავარი „სპოილერი“ გამოვალ. ამბავი, სისტემასთან დაპირისპირებული და თავისუფლებისთვის მებრძოლი ადამიანების შესახებ აკრძალული იყო საბჭოთა კავშირში.

ნაწარმოები შესულია ჟურნალის Time-ის სიაში: „საუკეთესო ინგლისურენოვანი ნაწარმოები 1923 წლიდან 2005 წლამდე“.

ფილოსოფიური ქვა ბავშვობის გახანგრძლივებისთვის

„ჰარი პოტერი და ფილოსოფიური ქვა“, „ჰარი პოტერი და საიდუმლო ოთახი”, „ჰარი პოტერი და აზკაბანის ტყვე“, „ჰარი პოტერი და ცეცხლოვანი თასი“, „ჰარი პოტერი და ფენიქსის ორდენი“, „ჰარი პოტერი და ნახევარპრინცი“, „ჰარი პოტერი და სიკვდილის საჩუქრები”– შვიდი წიგნი და რამდენიმე დამატება ჯადოსნურ სამყაროზე ჯოან როულინგმა (Joanne Rowling) შექმნა.

ჰარი პოტერის პირველი წიგნი 1997 წელს გამოვიდა. წიგნების სერია 67 ენაზეა ნათარგმნი, მათ შორის, ძველ ბერძნულზეც. ჰარი პოტერის საყოველთაო აღიარებამ როულინგი ყველაზე ხშირად თარგმნილ ავტორთა სიის სათავეში მოახვედრა. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ წლიდან წლამდე, ჰარი პოტერი ბესტსელერთა სიაში იყო. წიგნთან ერთად წარმატებული იყო შვიდივე ნაწილის ეკრანიზაცია.

არ იკითხავთ, რაზეა წიგნი, რა საჭირო იყო, ამდენი ნაწილი და რატომ მოსწონთ ასე ძალიან ბავშვებს და არა მხოლოდ ბავშვებს? მარტივად და მოკლედ ვერ გიპასუხებთ. წიგნი ყველაფერზეა, მეგობრებზე, კეთილ და ბოროტ ძალაზე, ჯადოსნურ და უცხო სამყაროზე, იმაზე, რაზეც ყველას უოცნებია. თუნდაც, ჯადოსნურ ჯოხზე, ჯადოქრების სკოლაზე და ერთი ხელის მოსმით იმის გაჩენაზე, რაც გინდათ.

ამიტომ, თუკი ჯერ არ იცნობთ ჯოან როულინგს, მის სამყაროს და არც ჰარი პოტერის ამბავი იცით, დაიჭირეთ თქვენი ჯადოსნური ჯოხები და თქვით: „აქციო ჰარი პოტერი“.

ორი წიგნი ორჰან ფამუქისგან (Orhan Pamuk)

რამდენიმე თვის წინ თბილისს ორჰან ფამუქი ესტუმრა. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ის ქართველი მკითხველის ერთ-ერთი საყვარელი ნობელიანტი ავტორია. მისი ნაწარმოებები ლოკალურია, ძირითადად, თურქეთზე გვიყვება.

დავიწყოთ „მე მქვია წითელი“ (My name is Red). ნაწაროები მინიატურისტებზე, რომლებიც საკუთარ მასწავლებლებთან და ისტორიასთან ერთად, სრულყოფილების ძიებაში არიან. ამ დროს, კი ისე, რომ ვერ ამჩნევენ, სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე გადიან. წიგნი გამოქვეყნებამდე 60-მდე ენაზე ითარგმნა.

ზაფხულის მოახლოებასთან ერთად ყოველთვის ვეძებთ წიგნებს, რომლებსაც თან ვატარებთ. ისეთ წიგნებს, რომლებიც თან გვატარებენ ან გვამოგზაურებენ. ეს წიგნი კი, ნამდვილი ბილეთია მუზეუმში, ნამდვილ მუზეუმში. „უმანკოების მუზეუმი“ (The museum of innocence) სტამბოლში მდებარეობს და თუ არ დაგეზარებათ, წაიღეთ თქვენი წიგნი – როგორც გასაღები. დარწმუნებული ვარ, ძალიან გაოცდებით, როცა ავტორის მიერ ზუსტად აღწერილი ნივთები დაგხვდებათ. ისე კი, რომანი ტრაგიკულ სიყვარულზეა.

და ბოლოს, არსებობენ ავტორები, რომელთა ბიოგრაფიაც უფრო მეტს გიყვებათ, ვიდრე მათი შემოქმედება. ფამუქის შემთხვევაში პირიქითაა. ის გიყვებათ ყველაფერს თურქეთზე და საკუთარ თავზეც. დიახ, ერთ-ერთ ნაწარმოებში ის პერსონაჟადაც კი გვევლინება, რომელიც წიგნის გადაფურცვლასთან და ამბავთან ერთად იზრდება.





იქ ვარ, სადაც სწორი საქმე სწორი გუნდის მეშვეობით კეთდება

დგება ცხოვრებაში გადამწყვეტი მომენტი, როდესაც უნდა მიიღო სწორი გადაწყვეტილება. როცა უნდა გააკეთო ერთადერთი არჩევანი, როცა უამრავი ალტერნატივიდან უნდა შეარჩიო სწორედ ის, რომელიც შენს, და არა მარტო შენს, არამედ დიდი ალბათობით, ქვეყნის მომავალსაც განსაზღვრავს. ალბათ, მიხვდით – საუბარი უმაღლესი განათლების მიღებაზე და ამ განათლების მისაღებ ადგილზე – უმაღლეს სასწავლებელზეა! რა არის წარმატების წინაპირობა? როგორი უნდა იყოს სასწავლებელი, რომელმაც გარანტირებულად უნდა მიგიყვანოს ამ მიზნამდე? რას გვთავაზობს ჩვენი ქვეყნის თანამედროვე საგანმანათლებლო ბაზარი? ამ თემასთან დაკავშირებულ და სხვა საკითხებზე სასაუბროდ საქართველოს ბანკის უნივერსიტეტის რექტორს, აკაკი ხელაძეს მივმართეთ. ბანკმა საკმაოდ კონკურენტულ გარემოში მიიღო გადაწყვეტილება – გაეხსნა უნივერსიტეტი. მათი ხედვა და არსებული მდგომარეობის შეფასება, ვფიქრობთ, საინტერესო იქნება...

AKAKI KHELADZE

ბექგრაუნდი

ათი წელია, საგანმანათლებლო სფეროში ვმოღვაწეობ, როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორში და ვფიქრობ, საინტერესო საქმეს ვაკეთებ. ამ ეტაპზე ყველაზე სასარგებლო, რაც შეიძლება ჩემს ქვეყანას და ხალხს გავუკეთო, კარგი განათლების მიღების შესაძლებლობაა. სწავლა-სწავლების და კვლევების წარმოების მრავალწლიანი გამოცდილება მაქვს. ჩემთვის მიმზიდველი იყო ეს წინადადება, ამიტომ უყოყმანოდ დავთანხმდი. იქ ვარ, სადაც სწორი საქმე სწორი გუნდის მეშვეობით კეთდება...

სავალდებულო სასკოლო განათლების შემდეგ მოსწავლეთა უმრავლესობა იღებს ცხოვრების განმავლობაში მისაღები გადაწყვეტილებებიდან ერთ-ერთ უმთავრესს – სად გააგრძელოს სწავლა და რა პროფესიას დაეუფლოს. ბევრს მიაჩნია, რომ სწორედ უმაღლესი განათლებაა უკეთესი მომავლის შექმნის წინაპირობა და მართლაც, ძნელია, არ დაეთანხმო ამ მოსაზრებას.

მომავალი პროფესია – არჩევანის გზურბლი

90-იან წლებში ყველაფერი კითხვის ნიშნის ქვეშ იყო. არაპროგნოზირებად და ყოველდღიურად ცვალებად ვითარებაში მომიწია არჩევანის გაკეთება, თუმცა დღეს, ამ გადასახედიდან, გადაწყვეტილებას არ შევცვლიდი. ახლანდელ ტექნიკურ უნივერსიტეტში ჰიდროტექნიკის სპეციალობაზე ჩავაბარე. იმ პერიოდში გაიხსნა კავკასიის ბიზნეს სკოლა, რომელმაც 10 საუკეთესო სტუდენტს უფასო განათლების მიღების შესაძლებლობა მოგვცა. მოგვიანებით იყო მაგისტრატურა და დოქტურანტურა ჯორჯიის უნივერსიტეტში.

მარიამ გამხარაშვილი, 22 წლის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების კურსდამთავრებული

განათლება წინსვლის და პროგრესის ერთადერთი საშუალებაა. პიროვნული განვითარება და წარმატების მიღწევა მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი...

მათ, ვინც ახლა აბარებს უმაღლეს სასწავლებელში, ვურჩევდი, კარგად დაფიქრდნენ იმაზე, თუ რისი შესწავლა სურთ.

არაფერი ისე არ გაბედნიერებს ამ წლებში, როგორც იმის სწავლა, რაც გიყვარს და გაინტერესებს... ამას პირადი მაგალითიდან გამომდინარე ვამბობ - მიყვარს ადამიანებთან ურთიერთობა, მოგზაურობა, ახალი და მრავალფეროვანი შთაბეჭდილებები და სწორედ ამიტომ აღმოჩნდა ჩემთვის მიმზიდველი დარგი, რომლის შესწავლაც გადავწყვიტე - საზოგადოებრივი გეოგრაფიის ხიბლი მისი ინტერდისციპლინარულობაა, მრავალ საკითხს და ასპექტს მოიცავს და არა არის ერთფეროვანი.

ჯერ კიდევ ტექნიკურ უნივერსიტეტში სწავლის პარარელურად დავიწყე მუშაობა თელასში. ეს იყო საინტერესო გამოცდილება. ის, რასაც წიგნებით გვასწავლიდნენ, რეალობაში ხორციელდებოდა. იქ კარგი სკოლა გავიარე და საკუთარ თავზე გამოვცადე, რამდენად მნშვნელოვანია თეორიისა და პრაქტიკის სწორი შეთავსება.

რატომ აკადემიური სფერო?

მეკითხებიან, რატომ მაინცდამაინც პედაგოგიური მოღვაწეობა? პასუხი მარტივია – ეს არის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი სამოღვაწეო სფერო. წარმოიდგინეთ, მთელი ციკლის თვითმხილველი ხარ – ეცნობი ადამიანს, რომელმაც ჯერ უამრავი რამ არ იცის და სურს, იცოდეს, მერე თანდათან ვითარდება, უკვე მეოთხე კურსისთვის, ფაქტობრივად, კოლეგას ესაუბრები და ახლა უკვე თამამად შემიძლია ვიამაყო იმით, რომ უამრავი ჩემი ყოფილი სტუდენტი წარმატებული, საქმიანი ადამიანია...

დღეს...

ახალგაზრდები მეტად დამოუკიდებლები არიან, სრულყოფილი ინფორმაციის მიღების მეტი საშუალება აქვთ. გადაწყვეტილებებსაც უფრო გააზრებულად და თავისუფლად იღებენ. მიზანსწრაფული, მონდომებული თაობაა... მიხარია, რომ მათ მეტი შესაძლებლობები და ამ შესაძლებლობების რეალიზების საშუალება აქვთ, ვიდრე 20 ან 10 წლის წინ.

უმაღლესი განათლება

არ არის „საყოველთაო მოხმარების პროდუქტი" და არც კედელზე საპატიო ადგილზე ჩამოსაკიდებელ დიპლომთან უნდა ასოცირდებოდეს. განათლებას მე ვუყურებ როგორც გააზრებულ ინვესტიციას. სოციალური სტატუსის ან საყოველთაო ტენდენციის გამო აკადემიური ხარისხის მიღება არასწორია. საზოგადოების წარმატებული წევრი ყოველგვარი რეგალიების გარეშეც შეიძლება გახდე, ამიტომ ადამიანმა ზუსტად უნდა განსაზღვროს, რა უნდა და როგორ უნდა მიაღწიოს სასურველს. მთავარი კითხვაა – მოიტანს თუ არა რეალურ შედეგს განათლებაში ჩადებული ინვესტიცია. >

სტუდენტებისთვის უმაღლესი სასწავლებელი ხშირად გართობასა და თავისუფლებასთან ასოცირდება.

სტუდენტობა მართლაც განსაკუთრებული პერიოდია ადამიანის ცხოვრებაში, მაგრამ ეს მხოლოდ გართობას და სიზარმაცეს არ უნდა ნიშნავდეს. ხშირად ისეც ხდება, რომ სტუდენტი გულს იცრუებს უნივერსიტეტში სწავლაზე და ამის მიზეზი შეიძლება გაუმართავი სისტემა იყოს. მას უჩნდება პროტესტი, მაგრამ ვერაფერს ცვლის... ჩვენს საგანმანათლებლო სისტემაში არსებული პრობლემები ამით არ შემოიფარგლება.

აუცილებლად აღვნიშნავდი ინფრასტრუქტურის გაუმართაობას, თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მეთოდოლოგიის დანერგვის ნაკლებობას და ვისურვებდი სტანდარტების გათანაბრებას საზღვარგარეთის უნივერსიტეტებთან. ამავდროულად, აუცილებლად უნდა აღვნიშნო ისიც, რომ დღესდღეობით წარმატებულ სტუდენტებს სასწავლებლები რეალურ შესაძლებლობას აძლევენ, გაიღრმავონ ცოდნა და დაეუფლონ თავიანთ პროფესიას სხვა ქვეყნებში.

მომავლის განათლება ინოვაციაზე უნდა იყოს დაფუძნებული. ჩვენს საუკუნეში ყველაფერი საოცრად სწრაფად იცვლება და განათლებამ, პირველ რიგში, უნდა აუწყოს ფეხი ამ ცვლილებებს, რათა მომავალი პროფესიონალები მომზადებულები შეხვდნენ ამ ყველაფერს. მთავარია, ადამიანმა ადაპტაციისა და ცოდნის სწორად გამოყენების უნარი გამოიმუშაოს უნივერსიტეტში.

ჩემთვის კარგი განათლება სწორედ იმას ნიშნავს, რომ თეორიული ცოდნის გარდა, გაძლევს ამ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევაც გქონდეს.

წარმატება საკმაოდ სუბიექტური ცნებაა... მე პირადად წარმატებულად ჩავთვლი თავს მაშინ, როდესაც მექნება საყვარელი სამსახური, სადაც მუშაობა სიამოვნებას მომგვრის. ჩემთვის მთავარია, ვაკეთებდე არა რუტინულ და იძულებით, მხოლოდ ფინანსური სარგებლის მომცემ საქმეს, არამედ საქმეს, რომელიც მომწონს და მსიამოვნებს. ესაა ჩემთვის წარმატებულობის საზომი. ამისთვის კი მგონია, რომ ადამიანმა უნდა ისწავლოს. გამოიყენოს შესაძლებლობები, რომელიც მას ცხოვრებაში შეხვდება, არ დაიბაროს... სტუდენტობა არის ის პერიოდი, როდესაც ყველაზე მეტის ათვისების საშუალება გაქვს და ამის ხელიდან გაშვება ცხოვრებაში შეიძლება სავალალო აღმოჩნდეს.

კონკურენტული გარემო – ახალი შემოთავაზებები

დღესდღეობით დიდია დაინტერესება დასავლური უმაღლესი განათლების მიმართ, ადგილობრივი საგანმანათლებლო ბაზარიც საკმაოდ მრავალფეროვანია. კონკურენტუნარიანი გარემო კი განვითარების საუკეთესო წინაპირობაა. საქართველოს ბანკის უნივერსიტეტის უმთავრესი მიზანი დაინტერესებული ადამიანებისთვის მაღალი ხარისხის ფინანსური განათლების მიღების შესაძლებლობაა. ჩვენ ვამბობთ: ვინც ახლა სწავლობს – ჩვენგან გარანტირებულად ხარისხიან განათლებას მიიღებს, ვინც უკვე დასაქმებულია – მას კარიერული წინსვლის საშუალება აქვს. თუ არ არის – დასაქმების 99,9 პროცენტიან შანსი ექნება. კონცეფცია და პროგრამები, რომლის მიხედვითაც სამაგისტრო პროგრამა შემუშავდა, აპრობირებულია სხვადასხვა წამყვან დასავლურ უნივერსიტეტში. უწყვეტ რეჟიმში ვთანამშრომლობდით შრომითი ბაზრის მსხვილ წარმომადგენლებთან, ვაწარმოეთ კვლევები და ინტერვიუები შესაბამისი მიმართულებებით... მოწვეული გვყავს ლექტორები, რომლებიც წამყვან ადგილობრივ და უცხოურ უნივერსიტეტებში მუშაობენ – საუკეთესოები საუკეთესოთა შორის. უზრუნველვყოფთ სტუდენტს ნებისმიერი საჭირო უახლესი სასწავლო მასალით. ერთადერთი, რაც მას მოეთხოვება, საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენა და რეალიზებაა!

ფინანსური მხარე...

ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ კარგ სტუდენტს არ შეექმნას ფინანსური დაბრკოლება. სულ ვიღებთ 50 სტუდენტს. მათგან 10 საუკეთესოს სრულად ვუფინანსებთ სწავლას, 20 საფასურს დაფარავს სწავლის დასრულებიდან 4 წლის შემდეგ, მაშინ, როცა უკვე თავად მოიმკის შედეგს, 20-ს ექნება გადახდის მოქნილი გრაფიკი. პროგრამა ორწლიანია და ესეც დეტალებშია გათვლილი – სწავლება ტრიმესტრულია. თითო ტრიმესტრში სამი საგანი ისწავლება. ეს ის რაოდენობა და ხანგრძლივობა სავსებით საკმარისია ხარისხიანი სწავლებისთვის.

ჩემი პროფესიული არჩევანი სკოლაში მიღებულმა განათლებამ და ისტორიისა თუ გეოგრაფიის გაკვეთილებზე გამოკვეთილმა საინტერესო საკითხებმა განაპირობა. ვფიქრობ, ამ პერიოდში და ზოგადადაც, ბევრს ნიშნავს, გყავდეს კარგი მასწავლებელი...

რაც შეეხება საუნივერსიტეტო განათლებას - ამ სივრცეში ახალი სოციალური ურთიერთობების ჩამოყალიბების შესაძლებლობა გეძლევა და ყველაფერთან ერთად, უნივერსიტეტი არაფორმალურ შემეცნებასაც უწყობს ხელს.

კარგი საუნივერსიტეტო სისტემის მთავარი საწინდარი განათლებისა და მეცნიერების, სწავლებისა და კვლევის ინტეგრირება გახლავთ. ახალ ეპოქაში კი ამ სტანდარტებს კიდევ ერთი მახასიათებელი დაემატა, კერძოდ, განათლების ინტერნაციონალიზაცია - შენ მიერ მიღებული ცოდნა ფასეული უნდა იყოს რამდენიმე ქვეყანაში მაინც. სამწუხაროდ, საქართველოში არცერთი აღნიშნული კრიტერიუმი სათანადოდ არ კმაყოფილდება, თუმცა, ამავდროულად აუცილებლად უნდა ითქვას ისიც, რომ არიან უმაღლესი რანგის პროფესორები, რომელთაც ულტრათანამედროვე პრინციპებისა და ტენდენციების გათვალისწინებით შეუძლიათ სასწავლო პროცესის წარმართვა.

აღსანიშნავია, რომ არ არსებობს ქართულ ენაზე ნათარგმნი ანთოლოგიური ლიტერატურა. მწირე ფინანსური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, გაჭიანურებულია ბიბლიოთეკების განახლების, გათანამედროვეობის პროცესი. საუნივერსიტეტო სწავლებას ფაქტობრივად არ გააჩნია პრაქტიკული განზომილება. საუნივერსიტეტო სისტემა უკიდურესად ბიუროკრატიზებულია და აკადემიური გადაწყვეტილებების მიღება არადემოკრატიულად ხდება...

განათლება გახლავთ როგორც პიროვნული განვითარების მთავარი წინაპირობა, ისე მშვიდობიანი სამოქალაქო ურთიერთობების ჩამოყალიბების მთავარი საწინდარი. თანამედროვე საზოგადოების ლოკომოტივი სწორედ განათლებაა.

წარმატება თვითრეალიზებას ნიშნავს.

წარმატების შედეგად ვაცნობიერებთ, რომ ჩვენც შეგვიძლია საზოგადოებისათვის საჭირო კეთილი საქმის პროფესიონალურად გაკეთება.

წარმატების მისაღწევად კარგი განათლების გარდა, მიზანსწრაფულობაა აუცილებელი.

აბიტურიენტების საყურადღებოდ - არასწორად შერჩეული სპეციალობა ძალიან მძიმე ტვირთია ნებისმიერი ადამიანისათვის. აუცილებელია, მშვიდად, წყნარად და აუღელვებლად გააკეთონ

საკუთრივ პროცესი...

წარმოუდგენელი და ფუჭი დროის კარგვაა – თეორია პრაქტიკის გარეშე ან პირიქით . სწავლების პროცესში ეს უნდა იყოს ერთი მთლიანი, შეკრული სისტემა. ჩვენ შემთხვევაში კონკრეტული მაგალითის მოშველიებით აგიხსნით პრაქტიკული და თეორიული ცოდნის მიმართებას: თითოეულ სალექციო კურსს, თითოეულ ლექციას მიმაგრებული ეყოლება >

დასაფიქრებელი და გასაანალიზებელია ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი – თანამედროვე, ცვალებად სამყაროში, როგორც მას ხშირად უწოდებენ – ინტერნეტისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების ერაში, განათლების სისტემა ახალი გამოწვევების წინაშეა, უამრავი ტრადიციული შეხედულების თუ მეთოდის ტრანსფორმირება მოხდა, განათლების სტანდარტი შეიცვალა – ასეთი გლობალური კონკურენციის პირობებში უმაღლესმა სასწავლებლებმაც სისტემის სრული რეფორმირების აუცილებლობა დაინახეს და უმრავლეს შემთხვევაში, განახორციელეს კიდეც.

ლევან ლორთქიფანიძე, 21 წლის

თსუ-ს პოლიტიკის მეცნიერების დეპარტამენტის სტუდენტი. ბლოგერი (განათლების თემებზე ჟურნალი „მასწავლებელი“ და პოლიტიკურ საკითხებზეც ჟურნალი „ლიბერალი“), აქტიური მოქალაქე, გარემოსდაცვითი სტუდენტური მოძრაობის და „თბილისის ფაბიანური საზოგადოების“ წევრი

არჩევანი და შეასრულონ საკუთარი მოვალეობა, ყურადღება არ მიაქციონ მეზობლების, ახლობლების დაუსაბუთებელ შენიშვნებსა თუ მათ გადაჭარბებულ მოლოდინებს.

მომავლის განათლება, ალბათ, უფრო ტექნიკური მეცნიერებებისთვის იქნება რადიკალურად განსხვავებული. სოციალურ მეცნიერებებში მხოლოდ თეორიების გამრავალფეროვნება შეიძლება მოხდეს. ძირითადი პრინციპები უცვლელი დარჩება. ცვალებადი და მომთხოვნი სამყაროსათვის ფეხის ასაწყობად კი აუცილებელია ნებისმიერი შიშისგან თუ კომპლექსისგან გათავისუფლება!

საქართველოს ბანკის დირექტორატის წევრი. თუ ლექტორი ხსნის გარკვეულ თეორიულ მასალას, ვთქვათ, პროექტის მართვის საკითხში, დირექტორატის წევრი, რომელიც სტრატეგიული პროექტის დარგშია კომპეტენტური, სტუდენტებთან ერთად განიხილავს კონკრეტულ ქეისს პრაქტიკიდან. შესაბამისად, სწავლის დროსვე ყველაფერი, რაც თან ახლავს პრაქტიკულ, რეალურ სამუშაოს, იქვე, მოცემულ მომენტში ხდება ხელშესახები. ანუ – კითხვა – რა არ ვისწავლე მე საქართველოს ბანკის უნივერსიტეტში – რჩება უპასუხო!

დაშვების წინაპირობა

ინგლისური ენის ბ2 დონე ცოდნა! ენის სათანადო დონე გვჭირდება იმდენად, რამდენადაც სასწავლო მასალები უახლეს, 2014 წლის გამოცემებს მოიცავს. სამწუხაროდ, სათანადო სისწრაფით თარგმნა ვერ ხერხდება, ამიტომ სტუდენტები ორიგინალ ენაზე გაეცნობიან უახლეს ლიტერატურას. ამას, როგორც უკვე აღვნიშნე, ჩვენ უზრუნველვყოფთ.

გუნდი

თამამად და დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი პროფესიონალი, კვალიფიციური და გამოცდილი კადრებითაა დაკომპლექტებული. დაგეგმილია უცხოელი ლექტორების მოწვევა, პროცესში აქტიურად იქნებიან ჩართულები საქართველოს ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს და მენეჯმენტის წევრები.

პირადი პასუხისმგებლობა

მაქვს მათ წინაშე, ვინც გადაწყვიტა ამ საპასუხისმგებლო საქმის ჩემთვის ჩაბარება, თანამშრომლების წინაშე – ვისთან ერთადაც მაქვს პატივი, ვიმუშაო და იმ ადამიანების წინაშე, ვინც იმედით და მოლოდინით ელის უნივერსიტეტში სწავლის დაწყებას. ეს ამ ადამიანების იმედ-ბის და მოლოდინის გამართლების პასუხისმგებლობაა!

ანა ჯვიციანი, 21 წლის

ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტი

ჩემი ინტერესის სფერო ძალიან მრავალფეროვანია, ხშირად ვიცვლი მიმართულებას, მაგრამ უცვლელი და არსებითი ჩემთვის, მომავალ პროფესიიდან გამომდინარე, პოლიტიკაა.

უნივერსიტეტი საზოგადოებრივი სივრცეა და აქ ახალი იდეების და ახალი მოძრაობების გაჩენის მეტი შანსია. თუმცა საუნივერსიტეტო განათლებას დღეს აკლია აკადემიური თავისუფლება, აკლია კვლევა და ცოდნის წარმოება, არ ხდება ახალი ცოდნის შემუშავება და განვითარება, რაც საერთო ჯამში აისახება საუნივერსიტეტო განათლების დაბალ ხარისხზე.

თანამედროვე სამყაროში განათლებას სასიცოცხლო მნიშვნელობის როლი აკისრია და ადამიანის ცხოვრება მის გარეშე, პრაქტიკულად, წარმოუდგენელია, მაგრამ ამასთან დაკავშირებით არის მთელი რიგი პრობლემები, ამათგან ყველაზე მტკივნეული და ყურადსაღები არის სწავლის ხელმიუწვდომლობა.

განათლების მთავარი მიზანი ისაა, რომ საშუალება მისცეს ადამიანს, იპოვოს საკუთარი თავი, მოახდინოს ცოდნის და შესაძლებლობების რეალიზება.

აბიტურიენტებს ვურჩევდი, რომ პროფესიის არჩევის დროს იყვნენ აბსოლუტურად დამოუკიდებლები, ჰქონდეთ მეტი მონდომება და თავდაჯერებულობა.

და ბოლოს...

მე ვფიქრობ, რომ თითოეული ჩვენგანის ხელშია ჩვენი ბედისწერაც და მომავალიც. მტკიცედ მწამს – შემთხვევითობა და უცაბედი იღბალი ერთეული შემთხვევაა, კანონ-ზომიერებას ვერ ქმნის. თითოეულს ხელეწიფება სასიკეთო ცვლილების მოხდენა, მთავარია ვიცოდეთ, რისთვის ვართ მზად გზაზე მიზნისაკენ. წარუმატებლობა არ უნდა გახდეს განვითარების შემაფერხებელი, პირიქით, ახალი გზების ძიების საშუალებად უნდა იქცეს.

ნინო ლომიძე

რამდენად შეესაბამება ქართული განათლების სისტემა თანამედროვე სამყაროს მოთხოვნებს, ერგება თუ არა ახალი თაობის ინტერესებს და საჭიროებებს, რამდენად პრაქტიკულ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს აძლევს უმაღლესი სასწავლებელი ახალგაზრდას და მზად არიან თუ არა ქართველი სტუდენტები ზემოთ ნახსენები გლობალური კონკურენციისთვის.

ქოუჩინგი

**გაყიდვების მენეჯერი - მაღალანაზღაურებადი, მოთხოვნადი
და პრესტიჟული პროფესია!**

ვისთვის არის ეს კურსი

- სტუდენტებისთვის, რომლებსაც მარკეტინგის და გაყიდვების სფეროში სურთ მოღვაწეობა
- მენეჯერებისათვის, რომლებიც უკვე მოღვაწეობენ ამ სფეროში
- ადამიანებისათვის, რომლებსაც პროფესიის შეცვლა სურთ
- კომპანიებისათვის, რომლებსაც გაყიდვების მენეჯერების დახვეწა და გააქტიურება სურთ

ქოუჩინგი არის 10-დღიანი კურსი, რომლის პროგრამაც საინტერესო და სახალისო მეთოდებზეა აგებული.

ვინ ვერ გაივლის ამ კურსს

- ვისაც საქმის გადადება უყვარს
- ვინც ხშირად წუწუნებს
- უკმაყოფილოა ცხოვრებით, მაგრამ არაფერს აკეთებს მის შესაცვლელად
- ვინც თვლის, რომ თავისი დღევანდელი მდგომარეობა სხვების ბრალია

რა შედეგს მიიღებთ პოუჩინგის დასრულებისას

- დარწმუნდებით, რომ გაყიდვების მენეჯერი არის მოთხოვნადი, პრესტიჟული და მაღალანაზღაურებადი პროფესია
- მიხვდებით, შეგიძლიათ თუ არა გახდეთ წარმატებული მენეჯერი
- საკუთარ თავში აღმოაჩენთ ისეთ ძალებს და შესაძლებლობებს, რაზეც აქამდე არც კი გიფიქრიათ
- შეძლებთ იმუშაოთ ნებისმიერი პროფილის კომპანიის გაყიდვების სამსახურში
- ისწავლით ყველა საჭირო ხერხს, რაც სჭირდება გაყიდვების მენეჯერს წარმატებული მოლაპარაკებებისათვის
- თუ კურსს წარმატებულად გაივლით, სურვილის შემთხვევაში, საშუალება გექნებათ, მუშაობა დაიწყოთ გამომცემლობა FLIT MEDIA - ში

რითი განსხვავდება ეს კოუჩინგი სხვა სასწავლო პროგრამებისგან:

« შედეგის მისაღებად მოგიწევთ დავალებების შესრულება »

პროცესი

- ჯგუფი დაკომპლექტებულია მაქსიმუმ 10 ადამიანისაგან, რაც მაქსიმალურად ეფექტურს ხდის სამუშაო პროცესს
- ყოველდღე შეისწავლება რამდენიმე ახალი თემა
- ყოველდღიურად ტარდება ორსაათნახევრიანი გაკვეთილი, რომელზეც: განიხილება გუნდის ყოველი წევრის შესრულებული დავალება, მიმდინარეობს დაშვებულ შეცდომებზე მუშაობა და გაიცემა კონკრეტული რეკომენდაციები შეცდომის გამოსასწორებლად

ღირებულება

სრული კურსის ღირებულება შეადგენს 290 ლარს
თანხის გადახდა ხდება კურსის დაწყებამდე 5 დღით ადრე

ტრენერი

ანუკი ნაცვლიშვილი
გამომცემლობა ფლიტ მედიას
დამფუძნებელი და დირექტორი

ქოუჩინგი ჩატარდება

5-15 ივლისი
20-30 ივლისი
4-14 აგვისტო

დასაწყისი 19:30, შაბათი, კვირა 13:00

დაგვიკავშირდით

2 946 446
anuki@flit.ge
Anuki Natsvlishvili

Flit Media publishing house

„თავი"
El Cap de
Barcelona
(The Head),
ბარსელონა, 1992
როი ლიხტენშტეინი
(Roy Lichtenstein)

ბუმ



სპოტ

არქიტექტურა, ფეხბურთი, გასტრონომია, ხალხი, სანაპირო და მზე – ეს არის ბედნიერების ფორმულა.

ავტორი
გიგა
რუხაძე

Barcelona

მზიანი და ცხელი ამინდების გამო ბარსელონა ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი ადგილია მსოფლიოში.

ბარსელონაში არქიტექტურა და ურბანიზაცია ერთმანეთს ერწყმის თავისი პატარა, ოაზისების მსგავსი პარკებითა და სკვერებით.

ყველას გაუგონია, ალბათ, ანტონიო გაუდის, შესანიშნავი კატალონიელის შესახებ, რომლის შემოქმედება ყველასგან განსხვავებული, რელიგიური და ესთეტიკურია, ჩამომდნარი და გოთიკური. შენობების გარდა, მას ასევე აქვს შექმნილი საოცარი პარკი - Parc Guell.

8 უსტად გაუდის დამსახურებაა, რომ ბარსელონა ყველა სხვა ქალაქისგან გამოირჩევა ემოციების და ფერების ფეირვერკით. მისი განსხვავებულობა არა მარტო არქიტექტურაშია, მისი ურბანიზაცია ძალიან მარტივი და ლამაზია. თუ გადმოვხედავთ ბარსელონას ზევიდან, დავინახავთ კვადრატულად (GRID) დაყოფილ ქუჩებს და შენობებს (3).

ასეთი ურბანული დაგეგმარება ილდეფონს სერდას იდეა იყო; დაგეგმარებისას მისთვის მნიშვნელოვანი იყო მზის შუქის სწორი განაწილება და ჰაერის ვენტილაცია ქალაქში. >



PARC GUELL





BARCELONA - მოდერნისტული არქიტექტურის ცენტრი

Paseo de Gracia-ზე (7) თუგაისეირნებთ, ნახავთ, როგორ გადაასხვაფერა ბარსელონა გაუდიმ. ქუჩის გალამაზება ფილებით და განათებებით დაიწყო, რასაც შემდგომ La Pedrera (1, 3), Casa Batlló (4, 5, 6) და Casa Vicens დაემატა (8, 9).

Joan Miró



Pablo Picasso

Diego Rodríguez de Silva y Velázquez

Salvador Dali Kisses The Hand Of Raquel Welch

ბარსელონა ძალიან მდიდარია ხელოვნების ისტორიით და ხელოვნების ნიმუშებით, რომლებიც უამრავი მუზეუმის საუკეთესო კოლექციებშია წარმოდგენილი. აქ ბევრი ცნობილი ესპანელი ხელოვანი მოღვაწეობდა და ცხოვრობდა: პაბლო პიკასო, სალვადორ დალი, ჟოან მირო, ველასკესი და სხვები... კუბიზმის, იმპრესიონისმისა და პოსტმოდერნიზმის ნიმუშები ბევრ მუზეუმში შეგხვდებათ. >



MUSEU NACIONAL D'ART DE CATALUNYA

Parc de Montjuïc

MNAC – კატალონიის ხელოვნების ნაციონალური მუზეუმი. მუზეუმის სლოგანია „1000 წლის ხელოვნება“. უკანასკნელ წლებში მუზეუმს დაამატეს კიდევ ერთი სართული, ტისენ-ბორნემისას ნამუშევრების გამოსაფენად, რომელიც იქამდე პედრალბეს (Pedralbes) მონასტერში ინახებოდა. აქ ასევე ნახავთ ბევრ ძველ რომაულ ნახატს და ნაკეთობას.

MUSEU PICASSO

Montcada, 15-23

პაბლო პიკასოს მუზეუმი გაიხსნა 1963 წელს, აგილარის სახლში. მუზეუში ნახავთ არა მარტო ნახატებს, არამედ მის სკულპტურულ ნამუშევრებსაც. მუზეუმი მდებარეობს გოთიკურ უბანში, სადაც ბევრ ძველ და საინტერესო შენობა-ნაგებობას წააწყდებით. მინდა გაგაფრთხილოთ, რომ მუზეუმში შესვლის მსურველთა რიცხვი ყოველთვის ძალიან დიდია; რიგები განსაკუთრებულად გრძელი ტურისტული სეზონის დროს არის და ამიტომ, გირჩევთ, მუზეუმის მოსანახულებლად, რაც შეიძლება ადრე მიხვიდეთ.

BARCELONA MUSEUM OF CONTEMPORARY ART

Plaça dels Àngels, 1

MACBA, რიჩარდ მეიერის აგებული თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი, კრიპტიკულ მინიმალიზმს და ყველა თანამედროვე ხელოვნების დარგს აერთიანებს. 1995 წლის ინაუგურაციის შემდეგ ის ბარსელონას თანამედროვეობის სცენად იქცა. მუზეუმს აქვს დიდი სასცენო სივრცე, სკოლა, ბიბლიოთეკა და სკვერი, სადაც მრავალი გამოფენა, კონცერტი და სხვა ღონისძიებები იმართება. მუშეუმის ეზოში მრავლად არიან სკეიტბორდის მოყვარული ახალგაზრდები, რადგანაც ამ ადგილს სკეიტბორდისთვის იდეალური არქიტექტურული რელიეფი აქვს.

FUNDACIÓ JOAN MIRÓ

Parc de Montjuïc

ჟოან მიროს მუზეუმი მუნჯუიკის მთაზე მდებარეობს და მთელ ბარსელონას გადმოჰყურებს. აქ ნახავთ 225 ნახატს, 150 სკულპტურას და გრაფიკული ხელოვნების მრავალ ნამუშევარს. მუზეუმი ჰარვარდის დიზაინის სკოლის ხელმძღვანელმა, ჯოსეფ ლუის სერტმა ააშენა.

LA SAGRADA FAMÍLIA

ლა საგრადა ფამილია შენდება 1882 წლის 19 მარტიდან, არქიტექტორ ფრანცისკო დე პაულა დელ ვილარის (1828-1901) მიერ, შემდგომ, 1883-1926 წლებში, გადაიბარა გაუდიმ. სამწუხაროდ, მან ვერ დაასრულა და მშენებლობა დღემდე მიმდინარეობს უცვლელი გეგმის მიხედვით. ეკლესია პირველივე დანახვიდან ძალიან შთამბეჭდავია მისი განსხვავებილი და უპრეცედენტო არქიტექტურის გამო; ბარსელონას ცენტრში მდებარეობს და მისი დანახვა შესაძლებელია თითქმის ყველა სახლიდან.



ბართობაზე ბარსელონაში დიდი მოთხოვნაა, რადგანაც აქ სწორედ ამისთვის ჩამოდიან სტუდენტები მთელი მსოფლიოდან. დამიჯერეთ, სიტყვა FIESTA-ს გაიგებთ ყველასგან და სულ რომ არ გქონდეთ დაგეგმილი სადმე კარგ ადგილას წასვლა, სახლიდან გასვლისთანავე აღმოაჩენთ ტიპურ ესპანურ ტავერნას ან ტაპერიას, საიდანაც ესპანელების ემოცური გართობის ხმაურს გაიგებთ.





PARC DE LA CIUTADELLA

ეს არის ერთი დიდი და გასაოცარი პარკი, რომელშიც განთავსებულია ზოოპარკი, ბოტანიკური ბაღი, კატალონიის პარლამენტი, სკოლა, ეკლესია, სანაოსნო ტბა და სცენა.

ბარსელონაში კარგად ჭამა ყოველთვის შეიძლება, მით უმეტეს, თუ ზღვის პროდუქტებით სავსე თეფშს ისურვებთ. ბარსელონას რესტორნების უმეტესობა დაჯილდოვებულია მიშლენის ვარსკვლავით და მათ მსოფლიოში სახელგანთქმული ისეთი შეფ-მზარეულები ემსახურებიან, როგორიც, მაგალითად, ფერან ადრიაა (Ferran Adriá). გასინჯეთ jamon, paella, patatas bravas, pulpo a la gallega, მიდიები, ლობსტერი ან კიბორჩხალა.

ზოგჯერ რთულია, მოძებნო ადგილი სადაც შენს გემოზე გაშლი ფეხებს და ხელს მოუსვამ მწვანე ბალახს. აქ კვირაობით, მზიან ამინდში, თავს იყრის ბუნების და სიმშვიდის მოყვარული საზოგადოება - აწყობენ პიკნიკს, თამაშობენ ბონგოს, ასეირნებენ ძაღლს და კავდებიან იოგათი.

იტალიური

სამზარეულო

პომიდორი

საქართველოში XVIII საუკუნის II ნახევრიდან გავრცელდა. ნაყოფი შეიცავს შაქარს (მონოზებს), ორგანულ მჟავებს, ცელულოზას, პექტინოვან ნივთიერებას, ნატრიუმს, კალიუმს, კალციუმს, მაგნიუმს, რკინას, სპილენძს, ფოსფორს, გოგირდს, ქლორს, მანგანუმს, B1, B2, PP, C ვიტამინებს, კაროტინს და სხვა ნივთიერებებს.

იტალიური სამზარეულო, ალბათ, ყველაზე სახელგანთქმული სამზარეულოა მსოფლიოში. თუმცა, ბევრი ჩვენგანი მაინცდამაინც კარგად არ იცნობს მას. ერთი შეხედვით, შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ იტალიური სამზარეულოს მთავარი კერძები მხოლოდ მაკარონი, პომიდორი და პიცაა. რა თქმა უნდა, ეს კერძი და ინგრედიენტები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ იტალიურ სამზარეულოში, მაგრამ მათ გარდა ის მოიცავს ათასობით კერძს ცომეულისგან, ხორცის, თევზის და ზღვის პროდუქტისგან, ასევე სალათებისა და ღვინის ნაირსახეობებს....

ბრინჯი

სამშობლოა ინდოჩინეთი. აქედან გავრცელდა ჩინეთში, იაპონიაში, წინა აზიასა და ირან-ერაყის ტერიტორიაზე. საქართველოში ბრინჯი ირანიდან შემოიტანეს. კილგაცლილი ბრინჯის ქიმიური შემადგენლობაა წყალი, ნახშირწყლები (უმთავრესად სახამებელი), ცილა, ცხიმი, უჯრედისი, ნაცარი.

კრევეტები

მდიდარია კალციით და ცილებით, მაგრამ შეიცავს ცოტა კალორიებს. კრევეტები კარგი საშუალებაა ქოლესტერინის მისაღებად.

კარტოფილი

შემოიტანეს სამხრეთ ამერიკელმა ინდიელებმა ჯერ კიდევ 14 ათასი წლის წინათ. ევროპაში (ესპანათში) გადმოიტანეს დაახლოებით 1565 წელს, შემდეგ გავრცელდა მრავალ ქვეყანაში. საქართველოში კარტოფილის ნათესები პირველად 1820-იან წლებში გაჩნდა. კარტოფილი შეიცავს წყალს, სახამებელს, შაქარს, ცილას, მინერალურ მარილებს, აგრეთვე C, B1, B2, B6, PP და სხვა ვიტამინებს.

შავი წიწაკა

შეიცავს ძლიერ გამწმენდ ნივთიერებას, რომელსაც ორგანიზმიდან გამოაქვს ტოქსინები, აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას, ასტიმულირებს კუჭის მუშაობას, აქვს ანტისეპტიკური თვისება.

კომბოსტო

სამშობლოდ ითვლება ჩინეთი და ხმელთაშუაზღვისპირეთი. კომბოსტო შეიცავს ნახშირწყლებს, ცილებს, მინერალურ მარილებს, ვიტამინებს (C, B ჯგუფის და სხვა). აქვს დიეტური და სამკურნალო თვისებები.

Მიუხედავად იმისა რომ, არსებობს მოსაზრება, თითქოს კულინარიული ხელოვნების მწვერვალი ფრანგული სამზარეულოა, იტალიური გახლავთ გაცილებით უფრო ძველი და მასშტაბური. ჯერ კიდევ რომის იმპერიის დროიდან შემორჩენილი გასტრონომიული ტრადიციები დღემდე აქტუალურია. ძირითადი ინგრედიენტები გახლავთ: პომიდორი, ზეითუნის ზეთი, ნიორი, ხახვი, კომბოსტო, სტაფილო, შავი წიწაკა, მწვანილი, კართოფილი და, რა თქმა უნდა, ბრინჯი, რომელიც ფართოდ გამოიყენება ხორცთან, კრევეტებთან, სოკოსთან და ა.შ.

პიცა ნაციონალური კერძია, რომლის სამშობლოდაც ნეაპოლი ითვლება. თავიდან ის მხოლოდ პომიდვრითა და ყველით იკაზმებოდა (დღევანდელი „მარგარიტას“ პროტოტიპი) და საზოგადოების დაბალ ფენაში იყო პოპულარული. დამსახურებული აღიარება კი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ (კერძოდ - 1945 წელს) მოიპოვა, როდესაც ამერიკელმა ჯარისკაცებმა დააგემოვნეს. ნამდვილი პიცა ძველებურ ღუმელში იწვება და მას მომზადებისთანავე მიირთმევენ. ყველაზე ძვირადღირებული პიცა მზადდება ზღვის პროდუქტებისგან, ხოლო ყველაზე იაფფასიანი „მარგარიტა“ გახლავთ. >

სტაფილო

სასუფრე სტაფილო შეიცავს წყალს, აზოტოვან ნივთიერებებს, ცხიმს, ნახშირწყლებს, ნაცარს; მდიდარია A, B, B2, PP ვიტამინებით.

ზეითუნის ზეთი

მიიღება ზეთისხილის ნაყოფის რბილობისაგან. შეიცავს ოლეინმჟავას გლიცერიდებს, ლინოლმჟავას და ნაჯერი მჟავების გლიცერიდების.

MASCARPONE

GRANA PADANO

MOZZARELLA

PARMIGIANO-REGGIANO

GORGONZOLA

 იტალია მიიჩნევა ყველის უგემრიელესი ნაირსახეობების სამშობლოდაც. მოცარელა, პარმეზანი, გორგონსოლა, მასკარპონე, გრანა პადანო და მრავალი სხვა. ყველია იტალიური კერძების საკმაოდ მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი. როგორც წესი, ის მოაქვთ ეგრეთ წოდებულ მესამე კერძად, პატარა ნაჭრებად დაჭრილი.

იტალია სახელგანთქმულია ძეხვეულითად. მართალია ამ კულინარიულ ჟანრში გერმანელები ლიდერობენ, მაგრამ იტალიური სალამის, მარტადელას ან ბოლონიური ძეხვის დაგემოვნებისგან მიღებული სიამოვნებაც შეუდარებელია.

იტალიურ სამზარეულოს ყველაზე სახელგანთქმული კერძი კი პასტაა. უგემრიელესი მაკარონის ათასგვარი ნაირსახეობა არსებობს, განსხვება ფორმასა და გემოშია. პასტა ყოველთვის იკაზმება სოუსით, რომლის რეცეფტების რაოდენობაც ასევე რამდენიმე ასეულს ითვლის. ეს შეიძლება იყოს როგორც ტომატის სოუსი, ისე რაგუ ან მოხარშული ბოსტნეულის სოუსი.

თუ იტალიაში მოხვდით, გირჩევთ არ გაუშვათ ხელიდან რიზოტო, რომელიც პოპულარულობით მსოფლიოში პასტას შემდეგ მეორე აგილს იკავებს. ეს გახლავთ ბრინჯი ლორით, სოკოთი, ყველით, ხახვით ან კრევეტებით.

NAPOLI

ნეაპოლი ძველმა ბერძნებმა დააარსეს და „ნეა პოლის“ (ახალი ქალაქი) უწოდეს. იგი საკმაოდ დიდ როლს თამაშობდა, როგორც რომის იმპერიის ცენტრალური პროვინცია. 1282-1816 წლებში ნეაპოლი ამავე სახელწოდების სამეფოს დედაქალაქი იყო.

RISI E BISI

VENICE

ეს არის ერთადერთი ქალაქი მსოფლიოში, რომელიც განლაგებულია 119 კუნძულზე და მოიცავს: 160 არხს; 369 ხიდს. აქ ვერ ნახავთ ვერც ავტომობილს, ვერც მეტროს – გადაადგილების ერთადერთი საშუალებაა ვენეციური ნავი – გონდოლა.

PASTA

პასტა აპენინის ნახევარკუნძულის უძველეს ცივილიზაციათა წიაღში იშვა და დაიხვეწა.

RISOTTO

SALAMI

UMBRIA

ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე პატარა რეგიონი, რომელსაც ზღვაზე გასასვლელი არ აქვს. დედაქალაქია პერუჯა.

MAZZAFEGATI

LOMBARDIA

ლომბარდიის დედაქალაქია მილანი. ეს მხარე იტალიის ყველაზე ხალხმრავალი და მდიდარი რეგიონია და ერთ-ერთი ყველაზე უმდიდრესი მთელს ევროპაში.

BUSECA

დესერტად, როგორც წესი, იტალიაში ცოცხალ ხილს, ჟელეს ან ნაყინს მიირთმევენ.

იტალიურ სამზარეულოში კერძების შემოტანის ასეთი თანმიმდევრობაა: ჯერ ცხარე კერძი, შემდეგ ბულიონი ან ხორცეული, ბოლს კი ტკბილეული, ხილი და შავი ყავა.

აპენინების ყოველი მხარე გამოირჩევა საკუთარი განუმეორებელი ნაციონალური კერძით. მაგალითად, ნეაპოლი, როგორც უკვე ვთქვით, პიცის სამშობლოა, ვენეცია სახელგანთქმულია რისი ე ბისით, რომი – გნოჩი ალა რომანათი, ლომბარდია – ბუსეკათი, ლიგურია – ბურიდათი, ხოლო უმბრია ცნობილია უგემრიელესი მაზაფეგეტით. >

BURIDDA



LAGURIA

დედაქალაქია გენუა. მოიცავს იტალიური რივიერის კურორტებს თავის ულამაზესი პლაჟებით, თვალწარმტაცი პატარა ქალაქებითა და კარგი სამზარეულოთი.

ROMA

ლეგენდის თანახმად, ქალაქი რომი ტყუპებმა რომულუსმა და რემუსმა დააარსეს ძვ. წ. აღ.-ით 753 წლის 21 აპრილს მდინარე ტიბრის ნაპირზე, კვირინალის, ვიმნალის, ესკვილინის, ცელიუმის, პალატინის, ავენტინისა და კაპიტოლიუმის ბორცვებზე.

Ეყურაღებოდ არ უნდა დაგვრჩეს იტალიური ღვინო. სტატისტიკურად, მსოფლიოში გაყიდული ღვინის ყოველი მეოთხე ბოთლი, სწორედ იტალიაშია დამზადებული. ამ სფეროში კონკურენციას იტალიელებს კვლავ მეზობელი ფრანგები თუ გაუწევენ. ამზადებენ წითელ ღვინოს, ვარდისფერს, თეთრს, მშრალს, ნახევრად მშრალს... მოკლედ ნებისმიერი გემოვნებისთვის. იტალიური ღვინის ყველაზე ცნობილი სახეობები გახლავთ: ჩიანტი, პროსეცო, სპუმანტე, ბორდოლინო და მრავალი სხვა.

მოკლედ, თუ აპენინებზე აღმოჩნდით, გემრიელად მიირთვით.

ნინო ლომიძე

GNOCCHI ALLA ROMANA

ღვინო

აპენინის ნახევარკუნძულს „ღვინის მიწა" ძველმა ბერძნებმა შეარქვეს იტალიაში ყურძენი ყველგან, თითოეულ პროვინციაში ხარობს. ღვინო არის ჯიშობრივი და კუპაჟური. ჯიშობრივ ღვინოს ამზადებენ ერთი ჯისის ყურძნისგან, კუპაჟურს კი – სხვადასხვა ყურძნის ჯიშის ნარევისაგან.

ნაყინი

არსებობს ვერსია, რომ სამხრეთ ევროპაში ნაყინი პირველად მარკო პოლომ შეიტანა XIV საუკუნეში. პირველად ნაყინის დამზადება ევროპელი მზარეულებიდან იტალიელმა მზარეულებმა დაიწყეს.

ESPRESSO

ესპრესოში ნაკლები კოფეინია, ვიდრე ჩვეულებრივი ხერხით მოდუღებულ ყავაში. წყალს დაფქვილ მარცვლებში ატარებენ ძლიერი წნევის ზემოქმედებით. წყლისა და ყავის ნაკლები კონტაქტი კოფეინის შემცველობის რაოდენობას ამცირებს.

Cafe Kala acid bar KGB still watching you

kala.ge



რესტორანი პასტორალი

მეგრული სამზარეულო



MENGRELIAN CUISUNE

PASTORAL RESTAURANT

New!

Fantastic Duhan

8 Chanturia st.

Tel: 592 681166

6 Erekle II str. T: 599 31 19 19, 2 99 90 19

Kala group

Cafe Kala: 8/10 Erekle II str. tel: 599 799 737. **Cafe KGB:** 8/10 Erekle II str. tel: 832 2985013, 599 674 488
Acid Bar /1/: 3a Kazbegi Ave. tel: 599 101 238. **Acid Bar /2/**: 37 Abashidze str. tel: 591 681 000
Acid Bar /3/: 9 Leonidze st. tel: 592 221 131. **Acid Bar /4/:** Gldani 2 Mkr. building N24.T: 592 411980

ქვეყნული

ნუცა შამილაძე პროფესიით HR-ია, საზოგადოება მას მუსიკალური პროექტ „ნუცას სკოლადან“ იცნობს. თეონა ელიზბარაშვილი დიზაინერია, მის მოდის კარნახს თბილისელები ფეხდაფეხ მიჰყვებიან. სავიზიტო ბარათად ქცეული „ფრთები“ მისი კოლექციის დიდ ნაწილს მოიცავს. მეგობრებმა საფირმო კერძი – იტალიური პასტა ზღვის პროდუქტებით – ერთობლივად მოამზადეს.

I. როგორი დიასახლისები ხართ?

TEONA ELIZBARASHVILI. სიმართლე გითხრათ, ბევრი რამის კეთება მეხერხება... ნუცასაც. ის არაჩვეულებრივი დედა, მზრუნველი და თბილი ადამიანია. საკმაოდ გემრიელ ნამცხვრებს აკეთებს, მაგალითად, ალუბლის ტარტს.

NUTSA SHAMILADZE. თეონასთან სახლში, რომ მიხვალ, რომც არ გშიოდეს, აუცილებლად მოგინდება ჭამა. მას შეუძლია არაფრისგან წამებში შექმნას დესერტი ან რაიმე კერძი. გურმანია, გემრიელად ჭამა უყვარს და თან, რაც ყველაზე მეტად მომწონს – ესთეტიკურ მხარეს აქცევს დიდ ყურადღებას, როგორც დიასახლისი და მაგიდას ძალიან ლამაზად აფორმებს.

T. E. საჭმლის მზადება მეხერხება, აი, ცომთან და ცხობასთან კარგად ვერ ვმეგობრობ, მხოლოდ „ალადიკებით" შემოვიფარგლები.

I. რამდენად ხშირად გიწევთ სახლში სადილის მომზადება?

T. E. ჩვენი რეჟიმიდან გამომდინარე დროის ძირითად ნაწილს სამსახურში ვატარებთ. სადილების კეთებას ვერ ვახერხებ, საშინაო საქმეებში ყოველდღიურად დედა მეხმარება. იმ შემთხვევაში, თუ დრო მაქვს, ძალიან მიყვარს სამზარეულოში ფუსფუსი. იშვიათად მიწევს სადილის მომზადება, ჩემი მომზადებული კერძი მეგობრებისგან მოწონებას იმსახურებს. ჩემთვის საჭმლის მომზადების პროცესი ხელოვნებაა.

I. ზოგადად, საშინაო საქმეები თუ გეხერხებათ?

N. S. საშინაო საქმეებიდან ყველაზე მეტად მიყვარს ჭურჭლის რეცხვა, სახლის დალაგება და დაუთოვება. დაუთოვება დედაჩემმა პატარაობიდანვე შემაყვარა.

T. E. სახლის დალაგება არ მიყვარს, არც დაუთოვების ნიჭი გამაჩნია. სამსახურში პროფესიონალური უთო მაქვს, რომელითაც შედარებით მარტივია დაუთოვრბა. სახლში ნაკლებად ვარ ამ საქმის ინიციატორი.

დუეტი

Don Giuseppe
Italian Restaurant

I. თავისუფალ დროს ყველაზე მეტად რისი კეთება გიყვართ?

N. S. კარგი მუსიკა, ცივი ან ცხელი ყავა და სეირნობა, ეს ყველაფერი საკმარისია ჩემთვის, რომ განწყობა შემეცვალოს და დადებითი ენერგიით დავიმუხტო. მიყვარს სეირნობა, ფეხით და მანქანით. შეიძლება ითქვას, რომ თავისუფალ დროს სეირნობა ჩემი გატაცებაა.

T. E. თავისუფალ დროს, გარდა იმისა, რომ მე და ნუცა მანქანით დავდივართ ქალაქში, ვვარჯიშობ. მიყვარს სპორტი და ზოგჯერ ისე ხდება, რომ დღეში ორჯერაც ვახერხებ ვარჯიშს. ნუცა იოგას მიმდევარია.

N. S. თეონა ძალიან ყოჩაღია, ყოველი დღე დაგეგმილი აქვს ისე, რომ ყველაფერი მოასწროს. იოგა ძალიან მიყვარს და აქტიურად ვარ ჩართული მეცადინეობაში. >

I. როგორია თქვენი ერთი დღე, რამდენად დატვირთული დღის რეჟიმი გაქვთ?

N. S. ჩემი სამსახური თეონა ელიზბარაშვილის სამკერვალოა. დილით ადრე ვდგები, ორი შვილი მყავს – ერთი ბაღში მიმყავს, მეორეს სკოლაში ვტოვებ და პირდაპირ მივდივარ სამკერვალოში. თეონას ვეხმარები და ახალ იდეებს ერთად „ვასხამთ ფრთებს".

T. E. ჩემთვის დილა და სამსახური ნუცას გარეშე წარმოუდგენელია. თუ რამეს ვაკეთებ და ვკერავ ამ ყველაფერს ნუცაზე ვაცოცხლებ, ფოტოს ვუღებ და შემდეგ უკვე მის ქსელში გაშვებაზეც ვიწყებ ფიქრს. ნუცა ძალიან ლამაზია, მას ყველაფერი უხდება. სპეციალურად ჟურნალ „ინტერვიუს" გადაღებისთვის ჩვენ ფრთიანი წინსაფრები შევკერეთ, ეს ნუცას იდეა იყო და ავიტაცე.

I. რომელი ქვეყნის სამზარეულოს ანიჭებთ უპირატესობას?

N. S. ძალიან მიყვარს გემრიელად ჭამა, ვგიჟდები იტალიურ და იაპონურ სამზარეულოზე, განსაკუთრებით მიყვარს იტალიური – პასტა.

T. E. ჩემი სუსტი წერტილი იაპონური სამზარეულო და სუშია. არ აქვს მნიშვნელობა ნაჭამი ვარ თუ მშიერი, უზომო რაოდენობით შემიძლია მივირთვა სუში დღის ნებისმიერ მონაკვეთში.

I. პირველად რომელი კერძი მოამზადეთ?

T. E. საკმაოდ სახალისო ისტორიაა. კარგად მახსოვს, პირველად შევწვი კვერცხი. სასაცილოა რეცეპტების წიგნში მეწერა „კვერცხი გავტეხო, დავდო ტაფაზე და შევწვა". შემდეგ უკვე ცოტა სერიოზული კერძი მოვამზადე – შემწვარი კარტოფილი და ხორცი ღუმელში.

N. S. ჩემი პირველი ნახელავი ტკბილი ფლავი იყო – ბრინჯი, ქიშმიში, კურაგა. დღემდე მახსოვს პირველი შექება, რომელიც მაშინ დავიმსახურე.

I. საინტერესოა, დღეს რა მოგვიმზადეთ?

T. E. დღეს მოგიმზადეთ კერძი, რომელიც პირადად მე ძალიან მიყვარს – ზღვის პროდუქტები და იტალიური პასტა.

N. S. იმისათვის, რომ მოვამზადოთ გემრიელი კერძი დაგვჭირდება შემდეგი ინგრედიენტები: ზღვის პროდუქტებიდან – მიდიები, კრევეტები. პარალელურ რეჟიმში უნდა მოხარშოთ იტალიური პასტა. მომზადებულ მასას აურევთ პასტას და დადებთ ლანგარზე. სასურველია, ზემოდან მოასხათ ლიმონი.

I. ჯანსაღი ცხოვრების წესს თუ მისდევთ?

T. E. ჩვენი მიზანი სწორედ ეს არის, რომ ჯანსაღი ცხოვრების წესით ვიცხოვროთ. ყოველდღიურად კვების რაციონში სასარგებლო პროდუქტები შეგვაქვს.

N. S. ძალიან მიყვარს ცომეული, გამიმართლა, რომ სიმსუქნისკენ არ ვარ გენეტიკურად მიდრეკილი. ვგიჟდები ხაჭაპურზე, ამიტომ ჯანსაღად კვება ხშირად არ გამომდის.
T. E. მე უპირატესობას ხორცს და თევზეულს ვანიჭებ. მიყვარს გარეთ ჭამა, ვცდილობ, არ ვჭამო ცომი და 7 საათის შემდეგ ნაკლებად მძიმე საკვები მივირთვა.

I. კერძი, რომელიც არასდროს მოგბეზრდებათ?
T. E. სუშის ჭამას ჩემთვის ზღვარი არ აქვს. ამიტომ ვფიქრობ, რომ არასდროს მომბეზრდება.

I. დიეტისთვის თუ მიგიმართავთ?
N. S. მე ვყოფილვარ დიეტაზე, ზედმეტ კილოგრამებს მასაჟის დახმარებით, სწორი კვებით და ვარჯიშით ვებრძვი, სიმსუქნისკენ მიდრეკილი არ ვარ.
T. E. როდესაც გურმანი ხარ და კარგად ჭამა გიყვარს, ჩემი აზრით, აუცილებლად უნდა გააკეთო განტვირთვის დღეები, არ აქვს მნიშვნელობა, მსუქანი ხარ თუ გამხდარი. ამიტომ ჩემს ცხოვრებაში ხშირად არის ასეთი დღეები, როდესაც კალორიულ საჭმელზე უარს ვამბობ ჯანმრთელობისთვის.

I. ხშირად მოგზაურობთ, ყველაზე მეტად რა გენატრებათ ხოლმე საქართველოში ყოფნისას?
T. E. ყავა ჩემი სუსტი წერტილია. დღის განმავლობაში ვერ მოვთვლი, რამდენ ჭიქა ყავას ვსვამ. ამიტომ ხშირად მენატრება კარგი სტარბაქსის ყავა.
N. S. მე ყველაზე მეტად შავი პატარა მიდიები მენატრება, რომელიც სეზონურია და სამწუხაროდ, საქართველოში მისი დეფიციტია.

I. თქვენი სამომავლო გეგმები?
T. E. დიდი გეგმები გვაქვს. ახლა ვაპირებთ, რომ თეონა ელიზბარაშვილის ხაზი საქართველოს საზღვრებს გაცდეს, გვინდა, რომ გავფართოვდეთ, ვმუშაობთ ახალ კოლექციაზე. ნუცა ძალიან მეხმარება და აქტიურად არის ჩართული ჩემს საქმიანობაში. ვნახოთ რა იქნება, 2014 წელს საინტერესო გეგმები გვაქვს.

I. ნუცა, ხომ არ ფიქრობთ დაუბრუნდეთ მუსიკალურ საქმიანობას?
N. S. დაბრუნებაზე არ მიფიქრია, მაგრამ სამომავლოდ გეგმაში მაქვს ორი დუეტის ჩაწერა, მომღერალ ბექა ჩხაიძესთან და გიო ხუციშვილთან.

სოფიო დვალიშვილი

პასტა ზღვის დელიკატესებით

ინგრედიენტები:
იტალიური პასტა, მიდიები, კრივეტები, პომიდორი ჩერი, წითელი წიწაკა, მწვანილი, სანელებლები, მარილი, თეთრი ღვინო

მოამზადება:
მოხარშოთ იტალიური პასტა, მიდიები და კრივეტები კი შევწვათ და დავუმატოთ ცოტა თეთრი ღვინო. პარალელურად დავჭრათ პომიდორი, წიწაკა, მწვანილი და გადავურიოთ ერთმანეთში. სუნელები და მარილი მოვაყაროთ სურვილისამებრ. მომზადებული მასა ავურიოთ პასტას და დავდოთ ლანგარზე ზღვის პროდუქტებთან ერთად. სასურველია, მოვასხათ ლიმონი.

PASTA ITALIANA

ღამე გალერეაში

18 მაისს ეროვნული მუზეუმის დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეამ დილის 10:00 საათიდან შუაღამემდე უმასპინძლა სტუმრებს. ამ ფორმით ეროვნულმა მუზეუმმა დამთვალიერებლებს მისცა განსაკუთრებული შესაძლებლობა, გაცნობოდნენ გალერეაში გამოფენილ ქართული და დასავლური ფერწერის შედევრებს. საქართველოს ეროვნული მუზეუმი უკვე მე-6 წელია, მუზეუმების საერთაშორისო დღის საპატიო მასპინძელია საქართველოში და

ტრადიციულად, აღნიშნულ დღეს ღონისძიებებით დატვირთულ კვირეულს უძღვნის. ამჯერად მუზეუმების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში დამთვალიერებლები არაერთ საინტერესო გამოფენას, საგანმანათლებლო პროგრამას და პრეზენტაციას დაესწრნენ.

საგამოფენო სივრცეებში წარმოდგენი გახლდათ ნიკო ფიროსმანის, ლადო გუდიაშვილის, დავით კაკაბაძის ცნობილი ტილოები, ხოლო დროებით საექსპოზიციო სივრცეში გამოფენა - „თანამედროვე ხელოვნება და მუზეუმი“.

ინტერვიუ

5. თვის ფილმი
გრეის კელი (Grace of Monaco), მთავარ როლში – ნიკოლ კიდმანი (Nicole Kidman);

4. თვის სკანდალი
ანტონიო ბანდერასისა (Antonio Banderas) და მელანი გრიფიტის (Melanie Griffith) განქორწინება;

3. MUST HAVE
მზის დამცავი საშუალებები
– Shiseido,
– Clarins;

2. თვის ფესტივალი
Midsummer night`s dream
ფანტასტიკური ნვეულება მოსკოვის შემოგარენში;

1. თვის კოქტეილი
საზამთრო საზაფხულო კოქტეილისთვის საუკეთესოა.

10. თვის სპორტული მვთავარი მოვლენა
მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში – BRASIL 2014;

9. თვის სიახლე
მიხაელ შუმახერი (Michael Schumacher) კომიდან გამოვიდა;

8. თვის პერსონა
რიანა, მოდის აიქონი (Rihana, CFDA Fashion Icon);

7. თვის აქსესუარი
საცურაო კოსტიუმი
– Kenzo,
– Lisa Marie Fernandez;

6. თვის ტური
შთამბეჭდავი და დაუვიწყარი სანტორინი (Santorini, Greece);

ego|events
EVENT MANAGEMENT AGENCY
flit
Contact us: 2 946 446 | info@ego.com.ge | anuki@flit.ge

Flit Advertising | Flit Media | Flit Production

სარეკლამო-საკომუნიკაციო ჯგუფი

Flit Group

გრაფიკული და საკომუნიკაციო დიზაინი | ოფსეტური, ციფრული და ფართოფორმატიანი ბეჭდვა | სარეკლამო კონსტრუქციების წარმოება და მონტაჟი
რეკლამა პრესაში | ღონისძიებების ორგანიზება

flit.ge

საქართველოს საკომუნიკაციო სააგენტოების ასოციაციის წევრი